

მულტირეზისტენტული *Enterococcus* spp-ს სპეციფიკური
ბაქტერიოფაგების დახასიათება

სოფიო რიგვავა

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა
დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აივენგო შათირიშვილი, ემერიტუსი
ირინე ჭყონია, ბმდ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო რიგვავა

06.03.2014

აბსტრაქტი

Enterococcus spp. ნორმალური ნაწლავური ფლორის წარმომადგენელია, თუმცა ზოგიერთ სახეობას შუძლია გამოიწვიოს ისეთი ნოზოკომიალური დაავადებები როგორიცაა: ენდოკარდიტი, მენინგიტი, სეპტიცემია, ნეონატალური სეფსისი და შარდ-სასქესო სისტემის ინფექციები, *Enterococcus* spp-თ გამოწვეული დაავადების მკურნალობა ხშირად გართულებულია ანტიბიოტიკორეზისტენტობის გამო. ბევრი ენტეროკოკის შტამი რეზისტენტულია ვანკომიცინის მიმართ, ვანკომიცინ რეზისტენტული ენტეროკოკით გამოწვეული დაავადებები ლეტალობის მაღალი მაჩვენებლის და სოციალ-ეკონომიური ზარალის გამო თანამედროვე მედიცინის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მულტი რეზისტენტული შტამების აფეთქებებმა განაახლა ინტერესი ფაგოთერაპიის მიმართ. ფაგოთერაპიას ანტიბიოტიკოთერაპიასთან შედარებით მრავალი უპირატესობა ახასიათებს, როგორიცაა: რეზისტენტობის დაბალი სიხშირე, მკაცრი სპეციფიურობა მხოლოდ სამიზნე ბაქტერიაზე ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ორგანიზმის ნორმალურ მიკროფლორას. მოცემული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა *Enterococcus* spp-ს მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების გამოყოფა და დახასიათება. ენტეროკოკის მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგები გამოყოფილ იქნა მდინარე მტკვრის ჩამდინარე წყლებიდან. კვლევაში გამოყენებული ფაგებიდან 3 ფაგი *vB_GEC-EfS_2*, *vB_GEC-EfS_3* და *vB_GEC-EfS_4* *Syphoviridae* -ს ჯგუფს განეკუთვნებოდა, ხოლო ფაგი *vB_GEC-EfM_9* - *Myoviridae*-ს. შესწავლილ იქნა თითოეული ფაგის ერთჯერადი გამრავლების ციკლი, ადსორბცია, ლიზისური აქტივობა, სეროლოგია ასევე სტაბილურობა სხვადასხვა ტემპერატურის, pH-ის და UV-ს პირობებში. მიღებულმა შედეგებმა გამოავლინა მოცემული ფაგების მაღალი სტაბილურობა გარემო ფაქტორებისადმი, რაც საშუალებას იძლევა, რომ აღნიშნული ფაგები გამოყენებულ იქნას გარემოს დეკონტამინაციისათვის. ლიზისური აქტივობის შესწავლით დადგინდა, რომ მოცემული ფაგები აქტიური არიან მხოლოდ *Enterococcus* spp-ს მიმართ. ფაგების *vB_GEC-EfS_2* და *vB_GEC-EfS_4* გენომის სრული სექვენსის ანალიზის საშუალებით დადგინდა, რომ *vB_GEC-EfS_2* ფაგი არის ზომიერი, ხოლო *vB_GEC-EfS_4* კი-ვირულენტური. ფაგი *vB_GEC-EfS_4* გამოვიყენეთ ინტრაპერიტონალური ინფექციის სამკურნალოდ ცხოველურ მოდელში, სადაც ინფიცირება მოვახდინეთ, როგორც პატრონ შტამით, ასევე ველური შტამით, რათა გვეჩვენებინა ამ ფაგის თერაპიული

შესაძლებლობა და არატოქსიურობა. მიღებულმა შედეგებმა საშუალება მოგვცა დავადასტუროთ, რომ ფაგი *vB_GEC-EfS_4* არის ჭეშმარიტად ვირულენტური ფაგი და აქვს კარგი პოტენციალი ფაგოთერაპიის თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *Enterococcus* spp., ბაქტერიოფაგი, ფაგოთერაპია.

Abstract

Enterococcus spp. is common commensal inhabitants of the mammalian gastrointestinal tract. However, some strains can cause opportunistic infections in humans. *Enterococcus* spp. cause many nosocomial infections such as endocarditis, urinary and genital tract infections, meningitis, septicemia and neonatal sepsis. Treatment of infections caused by *Ent. spp* are often confounded by antibiotic resistance. For example, many *Enterococcus* strains are resistant to Vancomycin, a drug of last resort. Infections caused by Vancomycin Resistant *Enterococcus* (VRE) are among the most important problems in medicine today because of high rate of infection lethality and social- economic damage. The spread of multy resistant bacterial strains renewed interest in phage therapy. Phage preparations are widely used to treat infections caused by different bacteria. Phage therapy has a number of advantages: first of all, the frequency of resistance development is lower, than the one with antibiotics. Phages are strictly specific, they affect only their target microbes and do not destroy flora that is necessary to the organism. The main goal of the given research was to isolation and characterization of bacteriophages specific to multy resistant *Enterococcus* spp. Bacteriophages active against these strains were isolated from sewage water from the Mtkvari River. Three phages were designated vB_GEC-EfS_2, vB_GEC-EfS_3 and vB_GEC-EfS_4 (*Syphoviridae*) and vB_GEC-EfM_9 (*Myoviridae*) were specific for only *Enterococcus* spp. Each phage's growth patterns and adsorption rates were quantified. Sensitivity to temperature, ultraviolet light (UV) and pH was determined; as was host range and serology. The given results shown that these phages have high thermal, UV and pH stability; what made these phages very promised for application against environment contamination or treatment infections caused by *Enterococcus* spp. Physiological characterization of phages showed that they are very specific in lysing *Enterococcus* spp. Whole genomes of phages vB_GEC-EfS_2 and vB_GEC-EfS_4 were sequenced and analyzed and detected that vB_GEC-EfS_2 is temperate phage and vB_GEC-EfS_4 is virulent. Phage vB_GEC-EfS_4 was used in animal model for treatment intraperitoneal infection caused by host strain and wild type strain to demonstrate non toxicity of phage application and its effectiveness as an antibacterial agent. We can assume that phage vB_GEC-EfS_4 is virulent and have good potential for therapy.

Key Words: *Enterococcus* spp., bacteriophages, phage therapy.

სადოქტორო ნაშრომის ძირითადი ნაწილი შესრულებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, ზოგადი მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში.

მადლიერებას გამოვხატავ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და GRDF მიმართ, ვინაიდან მათ მიერ ერთობლივად დაფინანსებული ინდივიდუალური სამეცნიერო-სტაჟირების გრანტის ფარგლებში სადოქტოროს ნაშრომის ნაწილი შესრულდა The city University of New Yourk, Queens college, მ.დ ჯონ დენეჰის ხელმძღვანელობით და ჰარვარდის სამედიცინო სკოლა, ბოსტონი, პროფ. მაიკლ გილმორის ხელმძღვანელობით.

მადლობას ვუხდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელებს თანადგომისთვის და გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი	VII
ცხრილების ჩამონათვალი	X
გრაფიკების ჩამონათვალი	XI
ილუსტრაციების ჩამონათვალი	XII
აბრევიატურების ჩამონათვალი	XIII
შესავალი	15
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	18
თავი 1. <i>Enterococcus</i> spp დახასიათება	18
1.1 ტაქსონომია, მახასიათებლები და გავრცელება	18
1.2 კლინიკური მნიშვნელობა	18
1.3 ეპიდემიოლოგია, მკურნალობა	19
თავი 2. ბაქტერიოფაგები	21
2.1 ბაქტერიოფაგების აღმოჩენა და გავრცელება	21
2.2 ფაგოთერაპია	24
მეთოდოლოგია	26
თავი 1. გამოყენებული მასალა	26
თავი 2. ბაქტერიული შტამების დასახასიათებლად გამოყენებული მეთოდები	28
თავი 3. ბაქტერიოფაგების დასახასიათებლად გამოყენებული მეთოდები	29
3.1 ბაქტერიოფაგების გამოყოფა	29
3.2 ბაქტერიოფაგების გამოვლენა-Spot test	29
3.3 ბაქტერიოფაგის ლიზისური აქტივობის და სპექტრის განსაზღვრა	30
3.4 ბაქტერიოფაგების ტიტრის დადგენა	30
3.4.1 თხიერ საკვებ არეში- აპელმანის მეთოდი	30
3.4.2 მყარ საკვებ არეზე - გრაციას მეთოდი	30
3.5 ბაქტერიოფაგის გამრავლება	31
3.5.1 კონცენტრირების მეთოდი	31
3.5.2 გამრავლება თხიერ საკვებ არეში	31
3.6 ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპია	32
3.7 ბაქტერიოფაგების პატრონ უჯრედზე ადსორბცია	32

3.8 ბაქტერიოფაგების გამრავლების ერთჯერადი ციკლი	33
3.9 ბაქტერიოფაგების სეროლოგიური ნათესაობის შესწავლა	33
3.10 ბაქტერიოფაგების სტაბილურობის შესწავლა სხვადასხვა გარემო პირობებში: ქლოროფორმის თანაობისას, ტემპერატურული ინაქტივაცია, ულტრაიისფერი სხივების (UV) და pH - ის გავლენა	34
3.11 ბაქტერიოფაგების დნმ-ის გამოყოფა და რესტრიქციული ანალიზი	35
3.12 ბაქტერიოფაგების მთლიანი გენომის სექვენირება და ანალიზი	36
3.13 ფაგოთერაპიის ეფექტურობის შესწავლა ცხოველურ მოდელზე	37
3.14 ბაქტერიოფაგის ენდოლიზინების გამოყოფა	38
შედეგები	39
თავი 1. ბაქტერიული შტამების დახასიათება	39
1.1 <i>Enterococcus spp.</i> შტამების იდენტიფიკაცია	39
თავი 2. <i>Enterococcus spp</i> სპეციფიკური ბაქტერიოფაგების დახასიათება	40
2.1 ბაქტერიოფაგის გამოყოფა და მორფოლოგიური დახასიათება	40
2.2 ბაქტერიოფაგების პატრონ უჯრედზე ადსორბცია და გამრავლების ერთჯერადი ციკლი	43
2.3 ბაქტერიოფაგების სტაბილურობის განსაზღვრა სხვადასხვა ტემპერატურის, UV-ს და pH - ის პირობებში	46
2.4 ბაქტერიოფაგების აქტივობის სპექტრის შესწავლა	49
2.5 ბაქტერიოფაგების vB_GEC_EFS_4 და vB_GEC_EFM_9 სეროლოგიური დახასიათება	50
2.6 ბაქტერიოფაგების გენეტიკური დახასიათება. vB_GEC_EFS_2 და vB_GEC_EFS_4 ფაგების მთლიანი გენომის სექვენსის ანალიზი	51
2.7 ფაგოთერაპიის ეფექტურობის შესწავლა ცხოველურ მოდელზე	78
2.8 vB_GEC_EFS_4 -ის ენდოლიზინების გამოყოფა და ლიზისური აქტივობის დადგენა	79
დისკუსია/ინტერპრეტაცია	81
დასკვნა და რეკომენდაციები	89
ბიბლიოგრაფია	90

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. კვლევის პროცესში გამოყენებული პრაიმერები	27
ცხრილი 2. <i>vB_GEC_EFS_2</i> ფაგის გენომის სექვენსის ანოტაცია	56
ცხრილი 3. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 1-ის ანოტაცია	63
ცხრილი 4. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 2-ის ანოტაცია	66
ცხრილი 5. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 4-ის ანოტაცია	69
ცხრილი 6. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 5-ის ანოტაცია	70
ცხრილი 7. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 6, 7 და 9-ის ანოტაცია	73

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: <i>vB_GEC_EFS_2</i> ფაგის ერთჯერადი გამრავლების ციკლი. ა. ადსორბცია; ბ. ფაგის ლატენტური პერიოდი, გამოსავლიანობა	43
გრაფიკი 2: <i>vB_GEC_EFS_3</i> ფაგის ერთჯერადი გამრავლების ციკლი. ა. ადსორბცია; ბ. ფაგის ლატენტური პერიოდი, გამოსავლიანობა	44
გრაფიკი 3: <i>vB_GEC_EFS_4</i> ფაგის ერთჯერადი გამრავლების ციკლი ა. ადსორბცია; ბ. ფაგის ლატენტური პერიოდი, გამოსავლიანობა	44
გრაფიკი 4: <i>vB_GEC_EFM_9</i> ფაგის ერთჯერადი გამრავლების ციკლი. ა. ადსორბცია; ბ. ფაგის ლატენტური პერიოდი, გამოსავლიანობა	45
გრაფიკი 5: ბაქტერიოფაგების სტაბილურობა სხვადასხვა ტემპერატურის (ა.) UV-ს(ბ.) და pH-ის (გ.) პირობებში	47
გრაფიკი 6: <i>vB_GEC_EFS_2</i> , <i>vB_GEC_EFS_3</i> , <i>vB_GEC_EFS_4</i> და <i>vB_GEC_EFM_9</i> -ის მოქმედების დიაპაზონი	49
გრაფიკი 7: <i>vB_GEC_EFS_4 in vivo</i> აქტივობის შესწავლა	79

ილუსტრაცია 1 : <i>vB_GEC_EFS_2</i> -ის მორფოლოგია. ა. ნეგატიური კოლონია; ბ. ელექტრონული მიკროსკოპია	41
ილუსტრაცია 2: <i>vB_GEC_EFS_3</i> -ის მორფოლოგია. ა. ნეგატიური კოლონია; ბ. ელექტრონული მიკროსკოპია	41
ილუსტრაცია 3: <i>vB_GEC_EFS_4</i> -ის მორფოლოგია. ა. ნეგატიური კოლონია; ბ. ელექტრონული მიკროსკოპია	42
ილუსტრაცია 4: <i>vB_Ab-S-T14</i> -ის მორფოლოგია. ა. ნეგატიური კოლონია; ბ. ელექტრონული მიკროსკოპია	42
ილუსტრაცია 5. <i>vB_GEC_EFS_2</i> კონტიგი1-ის გენეტიკური რუკა	51
ილუსტრაცია 6. ფილოგენეტიკური ხე (ჰოლინის მაკოდირებული გენის მიხედვით)	51
ილუსტრაცია 7. <i>vB_GEC_EFS_2</i> კონტიგი2-ის გენეტიკური რუკა	52
ილუსტრაცია 8. <i>vB_GEC_EFS_2</i> tRNA-met (cat)-ს მეორეული სტრუქტურა	53
ილუსტრაცია 9. <i>vB_GEC_EFS_2</i> გენომის მსგავსება NCBI ბაზაში არსებულ გენომთან	53
ილუსტრაცია 10. <i>vB_GEC_EFS_2</i> და <i>phiEf11</i> გენომების მსგავსება	55
ილუსტრაცია 11. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი1-ის გენეტიკური რუკა	62
ილუსტრაცია 12. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი2-ის გენეტიკური რუკა	65
ილუსტრაცია 13. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 4-ის გენეტიკური რუკა	67
ილუსტრაცია 14. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 5-ის გენეტიკური რუკა	67
ილუსტრაცია 15. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 6-ის გენეტიკური რუკა	71
ილუსტრაცია 16. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 7-ის გენეტიკური რუკა	71
ილუსტრაცია 17. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 8-ის გენეტიკური რუკა	75
ილუსტრაცია 18. <i>vB_GEC_EFS_4</i> კონტიგი 9-ის გენეტიკური რუკა	75
ილუსტრაცია 19. ფაგი <i>vB_GEC_EFS_4</i> -ს და ფაგი phiEF24C შედარებითი მსგავსება ნუკლეოტიდურ დონეზე	76
ილუსტრაცია 20. ფაგი <i>vB_GEC_EFS_4</i> -ის გენომის სავარაუდო აგებულება	77

აბრევიატურების ჩამონათვალი

Spp, გვარში გაერთიანებული რამოდენიმე სახეობა (Several Species);

bp, ნუკლეოტიდურ ფუძეების წყვილი (base pair);

PBPs, პენიცილინ-შემაკავშირებელი ცილა (Penicillin-Binding-Proteins);

PCR, პოლიმერაზა ჯაჭვური რეაქცია (Polymerase Chain Reaction);

VRE, ვანკომიცინ რეზისტენტული ენტეროკოკი (Vancomycin Resistant Enterococcus);

ICTV, ვირუსთა ტაქსონომიის საერთაშორისო გაერთიანება (International Committee on Taxonomy of Viruses);

dsDNA, ორჯაჭვიანი დნმ;

MOI, ინფიცირების მრავლობითობა (Multiplicity of Infection);

ORF, ღია წაკითხვის ჩარჩო (Open Reading Frame).

შესავალი

ჩირქოვანი ინფექციები, თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული მიკროორგანიზმები ფართოდ არიან გავრცელებული, რაც ართულებს ბაქტერიული ინფექციების მკურნალობასა და პროფილაქტიკას. 1984 წელს ენტეროკოკი ცალკე გვარად იქნა აღიარებული და უკვე 1989 წელს პირველი ვანკომიცინ რეზისტენტული შტამები გავრცელდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1989 წლიდან 1993 წლამდე ვანკომიცინრეზისტენტული ენტეროკოკების პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ აშშ-ში 0,3% –დან 7,9% მდე გაიზარდა. ენტეროკოკული ინფექციები გასული საუკუნის 70-80 იანი წლების წამყვანი პრობლემა იყო, როგორც შარდსასქესო სისტემის ინფექციების, ასევე პოსტოპერაციული ინფექციების გამომწვევის სახით და წელიწადში 10000-დან 25000-მდე ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა აშშ-ში (54). წლების განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა ენტეროკოკის ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობა (23). დღეისათვის ენტეროკოკების ანტიბიოტიკორეზისტენტობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვანკომიცინრეზისტენტული *Enterococcus faecium* კლინიკებში გამოყოფილი შტამების 80%-ს შეადგენს (4).

როგორც ავღნიშნეთ ენტეროკოკული ინფექციები ყველაზე მეტად ვლინდება შარდ-სასქესო გზების ინფიცირებისას და მათი უმრავლესობა ნოზოკომიურია და ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ინსტრუმენტებით და კათეტერიზაციის გზით გამოწვეულ ინფიცირებასთან. ენტეროკოკული ბაქტერიემიის დროს უპირატესად აღინიშნება პოლიმიკრობული ასოციაცია გრამუარყოფით ჩხირებთან (21,46). ასევე ენტეროკოკულ ინფექციებს ხშირად ვხვდებით იმუნიტეტ დაქვეითებულ პაციენტებში, რომლებიც ქიმიოთერაპიის კურსს გადიან. ბოლო წლებში ვანკომიცინრეზისტენტული ენტეროკოკი წარმოადგენს დიდ პრობლემას სამედიცინო პრაქტიკაში (46,68).

უდავოა ის ფაქტიც, რომ ფართო დიაპაზონის ანტიბიოტიკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამასთანავე ინფექციების მკურნალობისათვის ანტიბიოტიკების ფართო გამოყენების პრაქტიკამ გამოიწვია ანტიბიოტიკორეზისტენტული შტამების საყოველთაო გავრცელება თავისი მრავლობითი უკუჩვენებებით, რომლებიც ხშირად თან ახლავს ანტიბიოტიკოთერაპიას (4,29,68).

თუ ანტიბიოტიკების აღმოჩენის პირველ ეტაპზე ისინი ითვლებოდნენ უალტერნატივო საშუალებად, რომლებსაც შეუძლიათ ინფექციური დაავადებების სამკურნალო პრაქტიკის რადიკალური შეცვლა, ახლა ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ანტიბიოტიკების ოქროს საუკუნე დამთავრებულია.

სამედიცინო პრაქტიკაში მიკრობთა ანტიბიოტიკებისადმი პოლირეზისტენტული ფორმებით გამოწვეული ინფექციების სიმრავლემ და თანამედროვე მეთოდებით მათთან ბრძოლის სირთულემ, აღიარება მოუტანა ისეთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებას, როგორიცაა ბაქტერიოფაგი. 1917 წლიდან იწყება ბაქტერიოფაგის პრაქტიკული გამოყენების ერა. აღმოჩენისთანავე ბაქტერიოფაგი, როგორც ბაქტერიის ვირუსი, მიჩნეულ იქნა მიკრობთა მიერ გამოწვეული ინფექციური დაავადებების სამკურნალო საშუალებად, მაგრამ ანტიბიოტიკების აღმოჩენამ და მათი გამოყენებით მიღებულმა სწრაფმა ეფექტმა შეზღუდა ბაქტერიოფაგების გამოყენება ამ დანიშნულებით. ბაქტერიოფაგებს ანტიბიოტიკებთან შედარებით მრავალი უპირატესობა გააჩნიათ, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტიბიოტიკორეზისტენტული ბაქტერიების ლიზისის უნარი. ფაგებისათვის დამახასიათებელია მაღალი სპეციფიკურობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პათოგენური ბაქტერიული შტამებით ინფიცირების შემთხვევაში (9,55,81). ფაგით მკურნალობისას არ ირღვევა ნორმალური ბაქტერიული ფლორა. სწორედ ამ მახასიათებლების გამო ბაქტერიოფაგებით მკურნალობამ თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში დიდი ყურადღება დაიმსახურა, რის გამოც მათ განიხილავენ ანტიბიოტიკების ალტერნატივად. უამრავმა კვლევებმა და მრავალწლიანმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ფაგები არიან აბსოლუტურად უვნებელნი და არ გააჩნიათ გვერდითი მოვლენები (1,7,11,38,39,41,60,71,72). ცნობები ენტეროკოკის მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგის გამოყოფისა და შესწავლის შესახებ პირველად 1963 წელს გამოჩნდა, მაშინ როდესაც ენტეროკოკები D ჯგუფის სტრეპტოკოკებად განიხილებოდნენ. ს.როჯერსის და ვ. სარლესის მიერ *Enterococcus faecalis*-ით დასნეზოვებული ვირთაგვებიდან იდენტიფიცირებულ იქნა პათოგენური ენტეროკოკის მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგი და დახასიათდა ბიოლოგიურად (65). 2000 წლიდან დაიბეჭდა რამოდენიმე სტატია ენტეროკოკის მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების თერაპიული პოტენციალის შესახებ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა 2002 წელს ვანკომიცინრეზისტენტული *Enterococcus faecium*-ით გამოწვეული სეპტიცემიის სამკურნალოდ თავგებში. ექსპერიმენტის შედეგები

საკმაოდ წარმატებული და დამაიმედებელი იყო, ამიტომ ავტორები ფაგს, როგორც ანტიბიოტიკის უდავო ალტერნატივას და ვანკომიცინ რეზისტენტული შტამების საწინააღმდეგო რეალურ საშუალებად განიხილავენ(5).

ასევე 2011 წელს იაპონიაში და 2013 წელს ჩინეთში მეცნიერების სხვადასხვა ჯგუფმა ჩამდინარე წყლებიდან გამოყო ენტეროკოკის მიმართ აქტიური ვირულენტური ბაქტერიოფაგები. მიღებული შედეგები ამ ფაგების თერაპიულ შესაძლებლობებს უსვამს ხაზს (78,85).

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს *Enterococcus* spp და მათი სპეციფიკური ბაქტერიოფაგები.

კვლევი მიზანი: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა *Enterococcus* spp-ის მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების გამოყოფა, დახასიათება და თერაპიული აქტივობის შესწავლა.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

1. *Enterococcus* spp-ის ბაქტერიული შტამების შეგროვება, შესწავლა
2. *Enterococcus* spp-ის სპეციფიკური ბაქტერიოფაგების გამოყოფა
3. *Enterococcus* spp -ის სპეციფიკური ბაქტერიოფაგების მორფო-გენეტიკური თვისებების შესწავლა
4. ბაქტერიოფაგების სტაბილურობის შესწავლა სხვადასხვა ტემპერატურის, pH-ის, ულტრაიისფერი სხივების და სადეზინფექციო საშუალების პირობებში.
5. *Enterococcus* spp -ის სპეციფიკური ბაქტერიოფაგის *in vitro* და *in vivo* თერაპიული ეფექტის განსაზღვრა.

თავი 1. *Enterococcus* spp დახასიათება

1.1 ტაქსონომია, მახასიათებლები და გავრცელება

Enterococcus spp გრამ-დადებითი მიკრობია, *Lactobacillales* გვარის და *Enterococcaceae*-ს ოჯახის წარმომადგენელი, ფიზიკური მახასიათებლებით ის ძალიან ახლოს დგას სტრეპტოკოკებთან და 1984 წლამდე ისინი D ჯგუფის სტრეპტოკოკებად მიიჩნეოდნენ. დნმ-ს ანალიზის მეშვეობით დადგინდა, რომ ენტეროკოკები ცალკე ოჯახს წარმოადგენდნენ. მათ გააჩნიათ ოვალური ფორმა, ზომით 0,6-2,5მკმ. არ წარმოქმნიან სპორებს და კაფსულას. ზრდის ოპტიმალური ტემპერატურა წარმოადგენს 35-37°C. ენტეროკოკები ფაკულტატური ანაერობებია და მათ შეუძლიათ სხვადასხვა ექსტრემალურ პირობებში არსებობა – 6,5% NaCl კონცენტრაციაზე და pH 9,6. მათთვის მისაღები ტემპერატურა 10°C - დან 45°C-მდე მერყეობს. შეუძლიათ ზრდა ნაღვლის მარილების 40% კონცენტრაციაზე. მათი პათოგენური ფორმები ძალიან დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, რადგან ხასიათდებიან ჰემოლიზური აქტივობით, გამძლეობით სხვადასხვა გარემო ფაქტორების მიმართ და გამოირჩევიან მაღალი ანტიბიოტიკორეზისტენტობით.

ადამიანებში დაავადების გამომწვევი ენტეროკოკის სახეობებს მიეკუთვნება: *Enterococcus faecalis*, *Enterococcus faecium*, *Enterococcus avium*, *Enterococcus durans*, *Enterococcus gallinarum*, *Enterococcus solitarius*, *Enterococcus dispar*, *Enterococcus raffinosus*, *Enterococcus flavescens*. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ვანკომიცინრეზისტენტული ენტეროკოკი (VRE). იგი ძალიან ხშირად გვევლინება მეორადი ინფექციების გამომწვევად (6,10,15,21,30,46,52,57,59,76).

1.2 კლინიკური მნიშვნელობა

უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციების მონაცემების მიხედვით *Enterococcus* spp ითვლება საავადმყოფოსშიდა ინფექციების გამომწვევ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პათოგენად. პირობით პათოგენური ენტეროკოკი ნაწლავებში ბინადრობს და ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებისას, კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანების შემთხვევაში ღრმად შეიჭრება ქსოვილში და განაპირობებს პათოლოგიური პროცესების ჩამოყალიბებას (14,27,48). პათოგენური ენტეროკოკები გამოიშუშავენ ტოქსინებს, რომლებიც ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას (23,31,54).

ენტეროკოკი შარდ-სასქესო გზების ინფექციის ერთ-ერთ ძირითად პათოგენად მიიჩნევა. გაურთულებელი ცისტიტისა და პიელონეფრიტის გარდა ენტეროკოკი იშვიათად,

მაგრამ შესაძლებელია გახდეს პროსტატიტისა და პერინეფრული აბსცედირების მიზეზი. საშარდე გზების ენტეროკოკული ინფექცია ხშირად რთულდება ბაქტერიემიით.

ბაქტერიემიის ძირითად წყაროს წარმოადგენს აბდომინალური ინფექცია, ქრილობები, საშარდე ტრაქტის ინფექცია, ინტრავასკულური კათეტერები, ქოლანგიტი. ენტეროკოკული ბაქტერიემიის დროს განვითარებული სეპტიური შოკის დროს, როგორც წესი, ნახულობენ თანდართულ პოლიმიკრობულ ასოციაციას უპირატესად გრამუარყოფით ჩხირებთან. ენტეროკოკული ბაქტერიემიები შეიძლება გართულდეს ენდოკარდიტით. ენდოკარდიტი ძირითადად დამახასიათებელია საყოფაცხოვრებო პირობებში განვითარებული ბაქტერიემიისათვის. ჰოსპიტალური ენტეროკოკული ბაქტერიემია ხშირად პოლიმიკრობულია და ენტეროკოკული ენდოკარდიტი ზოგადად ბაქტერიული ენდოკარდიტების 10-20%-ს შეადგენს (4,21,23,31,46,54,56,68,70).

აღწერილია აგრეთვე ენტეროკოკული მენინგიტი შიდს-ით ან მწვავე ლეიკოზით დაავადებულ პაციენტებში. მენინგიტით შესაძლოა გართულდეს ნეონატალური ენტეროკოკული სეფსისიც. ენტეროკოკი შესაძლოა გახდეს სეფსისის მიზეზი ინტრავასკულური კათეტერიზაციის შემთხვევებშიც (4,21,23,31,46,54,56,68,70).

1.3 ეპიდემიოლოგია და მკურნალობა

ენტეროკოკები გამოირჩევიან მაღალი რეზისტენტობით გრამდადებითი ბაქტერიების საწინააღმდეგო რუტინული ანტიბიოტიკების მიმართ. განსაკუთრებით მაღალი რეზისტენტობით გამოირჩევა *Enterococcus faecium*-ის ბაქტერიული შტამები. ტრადიციულად ენტეროკოკული ინფექციების სამკურნალოდ გამოიყენება პენიცილინი ან ამპიცილინი ამინოგლიკოზიდებთან კომბინაციაში მაღალი სინერგიზმის გამო. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით *Enterococcus faecium*-ის შტამებმა განავითარეს მაღალი რეზისტენტობა პენიცილინის მიმართ პენიცილინ შემაკავშირებელი ცილის (PBP) ცვლილების გამო. იზრდება რეზისტენტობა ამინოგლიკოზიდების მიმართაც. ცნობილია რომ ენტეროკოკებს ამინოგლიკოზიდებისადმი კონსტიტუციურად დაქვეითებული მგრძნობელობა გააჩნიათ ენტეროკოკის უჯრედის გარსის შეზღუდული პენეტრაციის გამო. სწორედ ეს განაპირობებს ამინოგლიკოზიდების სინერგიზმს უჯრედის კედელზე მოქმედ ანტიბიოტიკებთან (პენიცილინი, იმიპენემი, ვანკომიცინი). ენტეროკოკებში განვითარდა ამინოგლიკოზიდებისადმი შემენილი რეზისტენტობა ორი მექანიზმით: რიბოსომული

მუტაცია, რაც მხოლოდ სტრუქტომიცინისადმი რეზისტენტობას განაპირობებს და პლაზმიდური ამინოგლიკოზიდგარდამქმნელი ენზიმების გამომუშავება, რაც სხვადასხვა ამინოგლიკოზიდებისადმი სხვადასხვა აქტივობით მოქმედებს. ენტეროკოკების აღმოჩენიდან ძალიან მალევე გამოვლენილ იქნა რეზისტენტობა ვანკომიცინის მიმართ. ნანახია ვანკომიცინისადმი რეზისტენტული *Enterococcus faecium*-ის სამი განსხვავებული შტამი – VanA ფენოტიპი, რეზისტენტული ტეიკოპლანინის მიმართ და VanB, VanC მგრძნობიარე ტეიკოპლანინის მიმართ. არსებული ცნობების და კვლევების შედეგები იძლევა იმის საფუძველს რომ ენტეროკოკი განხილულ იქნას როგორც პოტენციურად ერთ-ერთი საშიში პათოგენი ანტიბაქტერიული თერაპიის თვალსაზრისით (12,21,57,68).

თავი 2. ბაქტერიოფაგები

2.1 ბაქტერიოფაგების აღმოჩენა და გავრცელება

ბაქტერიოფაგებზე პირველი დაკვირვებები ეკუთვნის რუს ბაქტერიოლოგს ნიკოლაი გამალეას (1898 წ.), რომელმაც შეამჩნია, რომ ციმბირის წყლულის გამომწვევი ბაცილების ფილტრატი იწვევდა ამ მიკროორგანიზმების ახალი კულტურების ლიზისს. ბაქტერიების ლიზისის ფენომენზე დაკვირვებები სხვა მეცნიერებსაც ჰქონდათ, მათ შორის, 1915წ. ქართველმა მეცნიერმა გ. ელიავამ აღნიშნა *vibrio cholerae*-ს ბაქტერიების თვითლიზისის მოვლენა (7,71,72). ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ინგლისელი ბაქტერიოლოგის ფრედერიკ ტუორტის გამოკვლევები, რომელიც სწავლობდა ვირუსების ზრდას სხვადასხვა საკვებ ნიადაგზე და ექსპერიმენტების მიმდინარეობისას მისი ყურადღება მიიქცია სტაფილოკოკების კოლონიების (რომლითაც ხდებოდა ფინჯნების დაბინძურება) უჩვეულო “მინისებრმა გარდაქმნამ”. ტუორტმა აღნიშნა, რომ ასეთი კოლონიები კარგავდა გადათესვის უნარს და მათი შეტანა ნორმალურ (ჯანმრთელ) კოლონიებში იწვევდა ამ უკანასკნელების გარდაქმნას. ეს აღმოჩენა მეცნიერულად დასაბუთებული იქნა კანადელი ბაქტერიოლოგის ფელიქს დერელის მიერ. მან 1917 წ. დიზენტერიით დაავადებული ავადმყოფის ნაწლავებიდან გამოყო შიგელები, რომლებიც შეიცავდა ბაქტერიების ლიზისის უნარის მქონე პასირებად აგენტს და უწოდა მას “უჩინარი ბაქტერიული ანტაგონისტი”

“ბაქტერიოფაგი”, რაც “ბაქტერიის მშთანთქმელს” ნიშნავს (18,45,61,62). დერელმა დაასკვნა, რომ ბაქტერიოფაგი წარმოადგენს ბაქტერიების ვირუსს, რომელიც მრავლდება ბაქტერიული უჯრედის შიგნით, რის შედეგადაც ხდება უჯრედის ლიზისი და გარემოში გამოდის კვლავ წარმოქმნილი ვირიონის შთამომავლობა (11,26,49).

ბაქტერიოფაგები შეადგენენ ვირუსების ყველაზე ფართო ჯგუფს. ისინი ბინადრობენ ჩამდინარე წყლებში, ადამიანის, ცხოველების სხეულის და მცენარეების ზედაპირზე (28,74). ფაგები მორფოლოგიურად არიან წანაზარდიანი (კუდიანი), კუბური, ძაფისებრი, ან პლეომორფული. ბაქტერიოფაგების უმრავლესობა შედგება ფაგის თავისაგან-კაფსიდისაგან, რომელიც შეიცავს ერთ ან ორმაფიან დნმ-ს ან რნმ-ს და კუდისაგან. ბაქტერიოფაგების კლასიფიკაცია ემყარება ისეთი კრიტერიუმების შესწავლას, როგორიცაა გენომის სტრუქტურა, ანტიგენური მახასიათებლები, ნეგატიური კოლონიის მორფოლოგია, მოქმედების სპექტრი, ფიზიკო-ქიმიური თვისებები, ქიმიური შემადგენლობა, ბიოლოგიური თავისებურებანი (16,17,19,26,40).

თანამედროვე კლასიფიკაციით (ICTV -ის რეკომენდაციით) მორფოლოგიისა და ნუკლეინის მჟავის ტიპის მიხედვით ბაქტერიოფაგები გაერთიანებულია 13 ოჯახად და 31 გვარად (8,42).

დღესდღეობით კუდიანი ფაგები წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან და ფართოდ გავრცელებულ ჯგუფს, რომლებიც მორფოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლებით ემსგავსებიან ერთმანეთს, ამიტომ ისინი გაერთიანებული არიან ცალკე ოჯახად *Caudovirales*. ამ ოჯახში შემავალი ფაგები კი კუდის სტრუქტურის მიხედვით იყოფა სამ დიდ ჯგუფად(8,42):

Myoviridae - წარმოადგენენ ფაგებს კუმშვადი კუდით, რომელიც შედგება ცენტრალური ღერძისაგან და შეკუმშვის უნარის მქონე შალითისაგან. (ამ ოჯახში გაერთიანებულია კუდიანი ფაგების დაახლოებით 25 %). ტიპური წარმომადგენელია T4 ფაგი.

Siphoviridae ფაგები გრძელი კუდით, რომლის შალითასაც არ გააჩნია შეკუმშვის უნარი(გაერთიანებულია კუდიანი ფაგების დაახლოებით 61%). წარმომადგენლები არიან T5 და λ ფაგები.

Podoviridae ფაგები მოკლე კუდებით, რომელთაც ასევე არ აქვთ შეკუმშვის უნარი, როგორიც არის T7 ფაგი.

Caudovirales ანუ კუდიანი ფაგები შეიცავენ ორჯაჭვიან დნმ-ს (dsDNA). მათი გენომის ზომა შესაძლოა 18,000 - დან 500,000 bp სიგრძემდე მერყეობდეს. ვირუსის ნაწილაკებს აქვთ მკაფიო ბინალური სიმეტრია, მათი თავები არის კუბური სიმეტრიის, ხოლო კუდები ჰელიკალურია. კაფსიდი კი არის იკოსაედრის ფორმის (ოცწახნაგა), რომელიც შეიცავს ვირუსულ გენომს და საყელოს საშუალებით უკავშირდება კუდს. კაფსიდური პროტეინები ორგანიზებულია კაპსომერში სუბერთეულებად. თუმცა კაპსომერი იშვიათად ჩანს. კუდიანი ფაგების სტრუქტურაში შედის აგრეთვე თავისა და კუდის ფიბრიები, ბაზალური ფირფიტა, საყელო და ტერმინალური სპიკები. აღსანიშნავია, რომ *Myoviridae* -ს კაფსიდი უფრო დიდი ზომისაა და მეტი რაოდენობით დნმ-ს შეიცავს (2,3,8,33,40,42,74).

ბაქტერიოფაგის ურთიერთქმედება ბაქტერიულ უჯრედთან მკაცრად სპეციფიურია. არსებობს ბაქტერიოფაგების განვითარების ორი ციკლი: 1. ლიზისური და 2. ზომიერი. ინფექციის საბოლოო შედეგის მიხედვით ფაგები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: 1. ჭეშმარიტად ვირულენტური ფაგები; 2. ზომიერი ფაგები; 3. ფაგები განვითარების უწყვეტი ციკლით; 4. ფაგები, რომლებიც შედის ფსევდოლიზოგენურ ურთიერთობაში უჯრედთან. ჭეშმარიტად ვირულენტური ფაგები ყოველთვის განვითარების ლიზისურ ციკლს გადიან. ლიზისურ ციკლში გამოყოფენ შემდეგ სტადიებს: 1. ადსორბცია; 2. ფაგის ინექცია – ვირუსული დნმ-ის შეჭრა; 3. ფაგის რეპროდუქცია; 4. ვირუსის ახალი თაობის პოპულაციის გამოსვლა ბაქტერიული უჯრედიდან – გამოთავისუფლება(8,42).

რაც შეეხება ზომიერ ფაგებს, სპეციფიკური ბაქტერიული უჯრედების ინფიცირებისას შესაძლებელია განვითარების 2 გზა – ლიზისური ან ზომიერი. ლიზისური გზის შემთხვევაში ზომიერი ფაგები, ისევე როგორც ჭეშმარიტად ვირულენტური ფაგები, იწვევენ ბაქტერიული უჯრედის ლიზისს და ფაგის შთამომავლობის გამოთავისუფლებას. ზომიერი გზის შემთხვევაში ფაგი განიცდის გარდაქმნას, ამ დროს ბაქტერიული ვირუსის დნმ ინტეგრირდება ბაქტერიულ ქრომოსომაში პროფაგის სახით. მოცემულ ფენომენს ეწოდება ლიზოგენია, ხოლო პროფაგის შემცველი ბაქტერიების პოპულაციას – ლიზოგენური კულტურა(8,42). სამკურნლო ფაგური პრეპარატის კოსტრუირებისას ყველაზე მნიშვნელოვანია ფაგების სწორად შერჩევა, რადგან დაუშვებელია ფაგოთერაპიისათვის ზომიერი ფაგების გამოყენება. პრეპარატში ზომიერი ფაგების მოხვედრა გამოიწვევს ლიზოგენური შტამების წარმოქმნას ამიტომაც, აუცილებელია თერაპიული ფაგის შემადგენლობაში შემავალი კლონების სრული გენეტიკური დახასიათება.

2.2 ფაგოთერაპია

ფაგოთერაპიის ისტორია ბაქტერიოფაგების აღმოჩენიდან იღებს სათავეს და დღემდე წარმატებულად გამოიყენება ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, რუსეთსა და პოლონეთში. ანტიბიოტიკების აღმოჩენამ გამოიწვია ფაგოთერაპიის მიმართ ინტერესის დაკარგვა, მაგრამ რეზისტენტული შტამების გავრცელებამ გამოიწვია ბაქტერიოფაგების მიმართ ახლებული მიდგომა და ინტერესი (9,55,81).

დიდია ქართველ მეცნიერთა წვლილი ბაქტერიოფაგის ბიოლოგიური თვისებების შესწავლასა და მისი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოყენების შესაძლებლობის დადგენაში. ქართველმა მეცნიერებმა და პრაქტიკოს მედიკოსებმა ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს ბაქტერიოფაგი ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ. არსებობს არაერთი მონოგრაფია ფაგების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გ. კვიტაიშვილის, ქ.ბაგდოევას და ი. ხარინის კვლევები დიზენტერიის ფაგებით მკურნალობის შესახებ (11,38,39). ასევე მნიშვნელოვანი მონაცემები არსებობს გასული საუკუნის პირველ ნახევარში ფაგების ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. ფაგებს წარმატებით იყენებდნენ მეორე მსოფლო ომის დროს ქართველი ექიმები წულუკიძე და არშბა. ლიტერატურაში არსებობს მრავალი მონაცემი, რომლებიც ადასტურებს ბაქტერიოფაგების ეფექტურ გამოყენებას თერაპიული მიზნით, სხვადასხვა ეტიოლოგიის ბაქტერიული ინფექციების დროს (1,7,11,38,39,41,60,71,72). დღეისათვის ბაქტერიოფაგით მკურნალობამ დაავადებათა ფართო სპექტრი მოიცვა. ესენია ნებისმიერი ლოკალიზაციის ყველა სახის ჩირქოვანი-ანთებადი პროცესი, ტრავმატული დაზიანებები, ინფიცირებული ჭრილობები, დამწვრობის შედეგად განვითარებული გართულებები, გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური, სტომატოლოგიური, თვალისა და ყელ-ყურ- ცხვირის ანთებად- ჩირქოვანი დაავადებები, ნაწლავური ინფექციები და სხვა. გ. ელიავას სახ. ბ.მ.გ. ინსტიტუტის ბაზაზე დამზადებული ბაქტერიოფაგების კომერციული პრეპარატები: ინტესტი ფაგი, პიოფაგი, სტაფილოფაგი, ენკოფაგი, ფერსისი და სესი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა ეტიოლოგიის ინფექციების პრევენციისა და მკურნალობისათვის რომლებიც გამოწვეულია *Staphylococcus aureus*, *Streptococcus spp*, *E .coli*, *Ps. aeruginosa*, *Salmonella spp*, *Enterococcus spp* და ბაქტერიული შტამებით (1,7,11,38,39,41,60,71,72).

მეთოდოლოგია

თავი 1. გამოყენებული მასალა

კვლევის დროს გამოყენებული იყო შემდეგი ბაქტერიული შტამები:

1. *Enterococcus* spp-ს 711 შტამი, აქედან - 15 შტამი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული (მათ შორის ტრინიდადიდან, აშშ, ჩინეთი) და 67 - საქართველოს კლინიკებში გამოყოფილი შტამები. ბრაიტონის უნივერსიტეტის კოლექციის 502 შტამი. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის კოლექციის 47 *Enterococcus faecalis*-ს და 41 *Enterococcus faecium*-ის შტამი და მასაჩუსეტსის ცენტრალური ჰოსპიტალში გამოყოფილი 39 *Enterococcus faecalis*-ის შტამი.

2. ასევე გამოყენებულ იქნა 70 შტამი გ.ელიავას ბაქტერიოფაგიის, მირობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის (ელიავა ბმვ, EBMV) ზოგადი მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში არსებული *Esherichia coli*-ს 10, *Staphylococcus* –10 და *Streptococcus* - 10 ბაქტერიული შტამი. მასაჩუსეტსის ცენტრალური ჰოსპიტლის 20 სტაფილოკოკის და 20 სტრეპტოკოკის შტამი.

მუშაობის პროცესში გამოყენებული ბაქტერიოფაგები:

vB_GEC_EFS_2, *vB_GEC_EFS_3*, *vB_GEC_EFS_4* და *vB_GEC_EFM_9*, რომელთა პატრონი შტამებია *Enterococcus faecium* 12; *Enterococcus faecalis* 31, *Enterococcus faecium* 14 და *Enterococcus faecalis* 106.

ბაქტერიოფაგების დასახელებებში პრეფიქსი vB აღნიშნავს ბაქტერიულ ვირუსს (Bacterial virus), ” GEC ” – George Eliava Colection, „*Efs Efm*” *Enterococcus faecalis*, *Enterococcus faecium* -ს, S-syphoviridae, M-myoviridae (37).

კვლევის პერიოდში გამოყენებული საკვები ნიადაგები და ძირითადი რეაქტივები:

1. Brain Heart Infusion Broth; Brain Heart Infusion agar (Difco);
2. Difco m *Enterococcus* agar (საიდენტიფიკაციო ნიადაგი);
3. *Enterococcus* selective agar (საიდენტიფიკაციო ნიადაგი);
4. სისხლიანი აგარი;
5. Millipore - ის მემბრანული სასტერილიზაციო ფილტრები ფორების ზომით: 0,8 μm ; 0.45 μm და 0.22 μm
6. ადიუვანტი (Freund's complete adjuvant, Difco)
7. რესტრიქციული ენდონუკლეაზები: *EcoRI*, *EcoRV*, *HindIII*, *BamHI*, *HincII*, *PstI*,
8. გამოყენებული პრაიმერები

ცხრილი 1 კვლევის პროცესში გამოყენებული პრაიმერები

Ent.faecalis-ის პრაიმერები		Ent.faecium-ის პრაიმერები	
სახელი	სექვენსი (5' - 3')	სახელი	სექვენსი (5' - 3')
<i>dgh-1</i>	GGCGCACTAAAAGATATGGT	<i>Adk-1</i>	TATGAACCTCATTTTAATGGG
<i>gdh-2</i>	CCAAGATTGGGCAACTTCGTCCCA	<i>Adk-2</i>	GTTGACTGCCAAACGATTTT
<i>gyd-1</i>	CAAACTGCTTAGCTCCAATGGC	<i>Atpa-1</i>	CGGTTCATACGGAATGGCACA
<i>gyd-2</i>	CATTTGTTGTCATACCAAGC	<i>Atpa-2</i>	AAGTTCACGATAAGCCACGG
<i>pstS-1</i>	CGGAACAGGACTTTTCGC	<i>ddl-1</i>	GAGACATTGAATATGCCTTATG
<i>pstS-2</i>	ATTACATCACGTTCTACTTGC	<i>ddl-2</i>	AAAAAGAAATCGCACCG
<i>gki-1</i>	GATTTTGTGGGAATTGGTATGG	<i>gdh-1</i>	GGCGCACTAAAAGATATGGT

<i>gki-2</i>	ACCATTAAAGCAAAATGATCGC	<i>gdh-2</i>	CCAAGATTGGGCAACTTCGTCCCA
<i>aroE-1</i>	TGGAAAACCTTTACGGAGACAGC	<i>gyd-1</i>	CAAACGTCTTAGCTCCAATGGC
<i>aroE-2</i>	GTCCTGTCCATTGTTCAAAGC	<i>gyd-2</i>	CATTTGTTGTCATACCAAGC
<i>xpt-1</i>	AAAATGATGGCCGTGTATTAGG	<i>purK1</i>	GCAGATTGGCACATTGAAAGT
<i>xpt-2</i>	AACGTCACCGTTCCTTCACTTA	<i>purK2</i>	TACATAAATCCCGCCTGTTTC/T
<i>yqil-1</i>	CAGCTTAAGTCAAGTAAGTGCCG	<i>pstS1</i>	TTGAGCCAAGTCGAAGCTGGAG
<i>yqil-2</i>	GAATATCCCTTCTGCTTGTGCT	<i>pstS2</i>	CGTGATCACGTTCTACTTCC

თავი 2. ბაქტერიული შტამების დასახასიათებლად გამოყენებული მეთოდები

Enterococcus spp შტამების იდენტიფიცირება განხორციელდა:

სპეციფიკური საკვები აგარის გამოყენებით(i)- სისხლიან და ენტეროკოკის საიდენტიფიკაციო ნიადაგზე შტამები გვადლევნ ღია მონაცრისფრო და მუქ წითელ, სველ კოლონიებს, რაც გამა ჰემოლიზის შედეგია. იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება გრამის წესით შეღებვა, ენტეროკოკები ასევე იზრდებიან 6.5% NaCL-ის და ნალვლის მარილების პირობებში;

PCR (ii) - *Enterococcus faecalis* და *Enterococcus faecium* -ის შტამების იდენტიფიკაციისათვის გამოვიყენეთ პოლიმერული ჯაჭვური რეაქცია (PCR) სპეციფიკური პრაიმერების გამოყენებით(50,66,75);

MLST- Multy locus sequence typing (iii)- არის ორგანიზმების გენეტიკური ტიპირების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია დნმ-ში გენების თანმიმდევრობის დადგენაზე. ამ

მეთოდით ხორციელდება „house keeping gene” ანალიზი და მისი მეშვეობით ადვილად ხდება პოპულაციებს შორის ფილოგენეტიკური ნათესაობის დადგენა და სისტემატიზაცია, რაც თვის მხრივ ხელს უწყობს მოცემული ბაქტერიის ეპიდემიოლოგიის შესწავლას. ტექნიკურად **MLST** შედგება რამოდენიმე ეტაპისგან, პირველ რიგში გამოიყოფა ბაქტერიის დნმ და ამპლიფიკაცია ხდება პოლიმერული ჯაჭვური რეაქციის (PCR) ის მეშვეობით, სპეციფიური 7 წყვილი პრაიმერით, რის შემდეგაც მასალა სექვენირდება ავტომატური სექვენატორით. ფუნქციური ანალიზი ხდება სპეციალური პროგრამით Genewiz და MLST ონლაინ ბაზის გამოყენებით (24,53).

VITEK 2 სადიაგნოსტიკო სისტემა (iiii)-*Enterococcus faecalis* და *Enterococcus faecium* პატრონ შტამების იდენტიფიკაცია მოხდა VITEK 2 bioMérieux სისტემის გამოყენებით. ეს მეთოდი დაფუძნებულია 41 ფლუორესცენტული ბიოქიმიური ტესტის შემცველ 64 - უჯრიან პლასტმასის მიკრო თევშებით (card) იდენტიფიკაციაზე. Card ავტომატურად ივსება ვაკუუმის საშუალებით და ავტომატურადვე ილუქება. შემდეგ კი აღნიშნული Card- ი იდება VITEK 2 სისტემის თერმოსტატში და შედეგები იკითხება 18 საათში (22).

თავი 3. ბაქტერიოფაგების დასახასიათებლად გამოყენებული მეთოდები

3.1 ბაქტერიოფაგების გამოყოფა

ბაქტერიოფაგების გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ტერიტორიიდან აღებული ჩამდინარე წყალი. ჩამდინარე წყლის 100 მლ-ს ვუმატებთ 10 მლ კონცენტრირებულ ბულიონს და 1 მლ წინასწარ შერჩეული ინდიკატორული კულტურის ან კულტურების ნარევს. თერმოსტატში 37 °C-ზე 18 სთ ინკუბაციის შემდეგ ნარევს ვაცენტრიფუგირებთ 5,000 გ-ზე 30-40 წთ და სუპერნატანტს ვფილტრავთ 0.22 μm ზომის მემბრანულ ფილტრებში (Milipore). ამის შემდეგ ფილტრატს ვამოწმებთ ფაგის შემცველობაზე. ფაგების გამოყოფის შემთხვევაში მათი გასუფთავება გრძელდება ერთგვაროვანი ნეგატიური კოლონიების მიღებამდე. ფაგის კოლონიებიანი ფინჯნებიდან ხდება სტერილური პასტერის პიპეტით ერთგვაროვანი ნეგატიური კოლონიის ამოღება და მისი შეტანა 1 მლ ბულიონიან სინჯარაში. სინჯარას 1 სთ ვათავსებთ თერმოსტატში 37 °C ტემპერატურაზე. შემდგომ კი იტიტრება გრაციას ორშრიანი აგარის მეთოდით. ფაგის ერთგვაროვანი ნეგატიური კოლონიების მისაღებად აღნიშნული პროცესი რამდენიმე პასაჟს საჭიროებს (34,42).

3.2 ბაქტერიოფაგების გამოვლენა - Spot test

ბაქტერიოფაგების გამოსავლენად კეთდება ბაქტერიული კულტურის გაზონი: 0.1 მლ ინდიკატორულ ბაქტერიულ კულტურას ემატება 4.5 მლ 0.7 %-იანი აგარი და ვასხამთ პეტრის ფინჯანზე. გამყარების შემდეგ ვაწვეთებთ საკვლევი სუპერნატანტის 10 μ l -ს. 37 °C-ზე 18 სთ-იანი ინკუბაციის შემდეგ ფაგის არსებობას ვამოწმებთ ლიზისური ზონების არსებობით (34,40,42).

3.3 ბაქტერიოფაგის ლიზისური აქტივობის და სპექტრის განსაზღვრა

ლიზისური აქტივობისა და სპექტრის განსაზღვრისათვის ვიღებთ 24 საათიანი ბაქტერიული კულტურის ჩამონარეცხს ირიბი აგარიდან, ვაზავებთ ათჯერ (10^8 უჯრ/მლ), ვაკეთებთ გაზონს პეტრის ფინჯანზე, როგორც ეს Spot test -ის მეთოდშია აღწერილი და ვაწვეთებთ 10 μ l ფაგს . 37 °C-ზე 18 - 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ ფაგის მიერ წარმოქმნილი ლიზისური ზონების ხარისხის მიხედვით ხდება ლიზისური აქტივობის განსაზღვრა(40,42).

3.4 ბაქტერიოფაგების ტიტრის დადგენა

ბაქტერიოფაგების ტიტრის დადგენა ხდება როგორც თხიერ საკვებ არეში-აპელმანის მეთოდით, ასევე მყარ საკვებ არეში- გრაციას მეთოდით

3.4.1 თხიერ საკვებ არეში- აპელმანის მეთოდი

თხიერ საკვებ არეში ტიტრის დასადგენად 4.5 მლ საკვებ ბულიონიან სინჯარებში ხდება საკვლევი ფაგის თანმიმდევრული ათჯერადი განზავება და ყოველ სინჯარას ემატება 0,1 მლ ბაქტერიული შტამი 10^8 უჯრ/მლ კონცენტრაციით პარალელურად იდგმება კონტროლი (0,1 მლ ბაქტერიული შტამი ემატება 4,5მლ საკვებ არეში ფაგის დამატების გარეშე). 37 °C-ზე 18 – 24 სთ-იანი ინკუბაციის შემდეგ ფაგის აქტივობა განისაზღვრება

კულტურის კონტროლთან შედარებით საკვლევი სინჯარების გამჭვირვალობის ხარისხის მიხედვით(40,42).

3.4.2 მყარ საკვებ არეზე - გრაციას მეთოდი

გამოსაკვლევ ფაგს ვტიტრავთ სასურველ განზავებამდე ათჯერადი განზავების მეთოდით. სათანადო განზავებიდან ფაგის 1 მლ გადაგვაქვს ცალკეულ სტერილურ სინჯარებში, რომელთაც ემატება 0.1 მლ ტესტ-კულტურისა და დაახლოებით 7 მლ 0.7%-იანი აგარი. სინჯარებს აღნიშნული ნარევით სწრაფად ვანჯღრევთ და შიგთავსს თანაბრად ვანაწილებთ 2 % -იან აგარიან პეტრის ფინჯნებზე. ფინჯნებს ვათავსებთ საინკუბაციოდ თერმოსტატში 37 °C -ზე. 18-24 სთ-ის შემდეგ ვითვლით ნეგატიური კოლონიების რაოდენობას. ფაგის ტიტრი განისაზღვრება 1 მლ საკვლევ სითხეში აქტიური ფაგური ნაწილაკების რაოდენობით (36,42).

3.5 ბაქტერიოფაგების გამრავლება

3.5.1 კონცენტრირების მეთოდი

კონცენტრირების გზით ბაქტერიოფაგების გასამრავლებლად გამოიყენება ორშრიანი აგარის მეთოდი. თავდაპირველად ფაგს ვტიტრავთ სასურველ განზავებამდე. სტერილურ სინჯარაში გადაგვაქვს 1მლ $\cdot$ 10⁹ უჯრ/მლ კონცენტრაციის ბაქტერიული შტამი, რომელსაც ემატება 0.1 მლ ფაგი შესაბამისი განზავებიდან და 7 მლ 0.7 % ნახევრად თხიერი აგარი. შემდეგ სინჯარის შიგთავსი ისხმება 2 % აგარიან პეტრის ფინჯნებზე. 37 °C 18-24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ, ფინჯნებიდან მიღებულ ზედა შრე ჩამოიხვეტება და და 5,000 g -ზე 30-40 წთ ცენტრიფუგირების გზით მიღებული სუპერნატანტი იფილტრება 0.22 μ m ზომის მემბრანულ ფილტრებში (Milipore) (34,42).

3.5.2 გამრავლება თხიერ საკვებ არეში

ფაგის გამრავლება ხდება ასევე თხიერ საკვებ არეში. ამისთვის 18 საათიანი 1 $\cdot$ 10⁹ უჯრ/მლ კონცენტრაციის ბაქტერიული შტამის 0.1მლ შეაქვთ 9.9 მლ ბულიონში. სინჯარა

თავსდება სანჯღრეველაზე 37 °C -ზე. 2-3 სთ -ის შემდეგ შესაბამის ბაქტერიულ კულტურას ლოგარითმულ ფაზაში (როდესაც მიკრობის ტიტრი აღწევს 2×10^8 უჯრ/მლ) ემატება გასამრავლებელი ფაგის 0.1 მლ 2×10^7 ნაწ/მლ ტიტრით. სინჯარას ტოვებენ 18 – 24 სთ ინკუბაციისათვის, ხოლო შემდეგ ფილტრავენ 0.45 - 0.22 μm ზომის მემბრანულ ფილტრებში (Milipore) და ტიტრს ადგენენ გრაციას ორშრიანი აგარის მეთოდით (42).

3.6 ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპია

ბაქტერიოფაგების მორფოლოგიის შესწავლა ხდება ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპით. მიკროსკოპიისათვის გამოიყენება გასუფთავებული ფაგური ლიზატი ტიტრით 9×10^9 ნაწ/მლ, რომელიც თავსდება პიოლოფორმიანი საფენის მქონე ბადეებზე. ბადე ირეცხება ორჯერ, ორმაგად დისტილირებული წყლით და ემატება 2 წვეთი 1 % -იანი ურანილ აცეტატის ხსნარი. ზედმეტი ხსნარი მაშინვე სცილდება და ბადეები შრება ჰაერზე. სინჯების დათვალიერება ხდება 80-100kV დენის ძაბვით JEOL JEM 1400 ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპის დახმარებით (58).

3.7 ბაქტერიოფაგების პატრონ უჯრედზე ადსორბცია

ბაქტერიულ უჯრედზე ფაგის ადსორბციის სიჩქარის დასადგენად იღებენ ფაგისა (10^7 ნაწ/მლ) და ლოგარითმული ფაგის მიკრობის (10^8 უჯრ/მლ) თანაბარ რაოდენობას. სინჯარა აღნიშნული ნარევით თავსდება 37 °C - ზე წყლის აბაზანაში. 0.1 მლ -ის ოდენობით სინჯები იღება დროის გარკვეულ ინტერვალებში (0', 3', 5', 7', 10', 12') და ემატება 9.9 მლ საკვებ ბულიონიან და 0.4 მლ ქლოროფორმიან წინასწარ გაციებულ სინჯარას, სინჯარის კარგად შენჯღრევის შემდეგ 10 წუთით იდგმება საყინულეში. შემდეგ ფაგის შესაბამისი განზავებები გადაიტანება სტერილურ სინჯარაში და იტიტრება ორშრიანი აგარის მეთოდის გამოყენებით. მეორე დღეს ფაგის ნეგატიური კოლონიების რაოდენობით ხდება შედეგების შეჯამება და ადსორბციის დროისა და ადსორბციის სიჩქარის კონსტანტის გამოთვლა. ბაქტერიულ უჯრედზე ფაგის ადსორბციის სიჩქარე გამოისახება სპეციალური ფორმულით:

$$k = 2.3/Bt \times \log P_0/P$$

სადაც k ადსორბციის სიჩქარის კონსტანტაა (მლ/წთ); B - ბაქტერიების კონცენტრაცია, t - დრო, რომლის განმავლობაშიც ფაგის საწყისი ტიტრი P_0 ეცემა ფაგის საბოლოო P ტიტრამდე (32,47,64).

3.8 ბაქტერიოფაგების გამრავლების ერთჯერადი ციკლი

ბაქტერიოფაგის ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლის - უჯრედშიდა გამრავლების ლატენტური პერიოდისა და ბაქტერიული უჯრედის ლიზისის შემდგომ ფაგის საშუალო გამოსავლის განსაზღვრისათვის გამოიყენება ბაქტერიოფაგების გამრავლების ერთჯერადი ციკლი. ცდის შესრულებისთვის 9.9 მლ საკვებ ბულიონს ემატება 0.1 მლ 24 სთ-იანი ბაქტერიული კულტურის ჩამონარეცხი, თავსდება 37°C - ზე წყლის აბაზანაში ექსპონენციალური ფაზის მიღწევამდე (10^8 უჯრ/მლ) შემდეგ 0.9 მლ ექსპოტენციალური ფაზის ბაქტერიულ კულტურას ემატება 0.1 მლ ფაგი (ტიტრით 10^8 ნაწ/მლ), რაც წარმოქმნის 1 მლ უჯრედებს ინფიცირების მრავლობითობით 0.1 (MOI). აღნიშნული ნარევი იდგმება 37°C - ზე წყლის აბაზანაში 3 წთ და იწყება დროის ათვლა. 3 წთ-ის შემდეგ ვიღებთ 0.1 მლ-ს, რომელიც ზავდება 10 მლ საკვებ ბულიონში. კარგად შენჯღრევის შემდეგ ამოგვაქვს ისევ 0.1 მლ-ი და ემატება 2.5 მლ საკვები ბულიონი, რომელსაც პირობითად "განზავებულ კულტურას" ვუწოდებთ. "განზავებულ კულტურას" ვაბრუნებთ წყლის აბაზანაში. ვაფიქსირებთ დროს და ვიღებთ პირველ სინჯს. სინჯების აღება გრძელდება დროის გარკვეულ ინტერვალში (5', 7', 10', 15', 18', 20', 25', 35', 50', 60', 75', 80', 90') 0.1 მლ -ის ოდენობით. სინჯები გადაგვაქვს ორშრიანი აგარის მეთოდით სხვადასხვა განზავებებით (1:4, 1:10, 1:100 და 1:1000), რათა მეორე დღეს შესაძლებელი გახდეს კოლონიების ზუსტი რაოდენობის დათვლა(32,80).

3.9 ბაქტერიოფაგების სეროლოგიური ნათესაობის შესწავლა

ბაქტერიოფაგებს შორის ნათესაობას ადგენენ სეროლოგიური მეთოდით, რომელიც ხორციელდება ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე ხდება ცხოველთა იმუნიზაცია სპეციფიკური ანტიფაგური შრატის მისაღებად, ამისთვის ტარდება ბოცვერების იმუნიზაცია. პირველადი იმუნიზაციისთვის თითოეული ბოცვერის უკანა თათის კუნთში თანაბარი რაოდენობით შეჰყავთ 1მლ ბაქტერიოფაგი ტიტრით 1×10^{10} ნაწ/მლ და 1მლ ადიუვანტის ნარევი. ეს უკანსკნელი წარმოადგენს ზეთოვან ნარევს, რომელშიც ემულგირებულია მიკობაქტერიის ანტიგენები. მეორადი იმუნიზაცია ტარდება 1 თვის შემდეგ და ამჯერად (კურდღლებში) ბოცვერში ინტრავენურად შეჰყავთ 1მლ ბაქტერიოფაგი ტიტრით 1×10^{10} ნაწ/მლ. რეიმუნიზაციიდან 2 კვირის შემდეგ ბოცვერების გულის მარცხენა პარკუჭიდან იღებენ სისხლს 25მლ-ის ოდენობით და აქედან იწყება სეროლოგიური ნათესაობის შესწავლის მეორე ეტაპი. მიღებულ შრატში ანტიფაგური ანტისხეულების არსებობას და ტიტრს საზღვრავენ ნეიტრალიზაციის რეაქციით, რისთვისაც 0,1 მლ ბაქტერიოფაგს ტიტრით 1×10^7 ნაწ/მლ ემატება 0,9 მლ შრატი გარკვეული განზავებით (1:50, 1:100, 1:200, 1:500, 1:1000) და დროის გარკვეულ ინტერვალებში (5', 10', 15', 20', 30') იღებენ სინჯებს 0,1 მლ ოდენობით და ანზავებენ 100 ჯერ. შემდგომ ამ განზავებიდან 0,1 მლ გადააქვთ პეტრის ფინჯნებზე ბაქტერიულ კულტურასთან ერთად და ასხამენ ორშრიანი აგარის მეთოდით. პარალელურად იდგმება ფაგის კონტროლი, რომელშიც ანტიფაგური შრატის ნაცვლად იყენებენ ფიზიოლოგიურ ხსნარს ან საკვებ ბულიონს. პეტრის ფინჯნები საინკუბაციოდ თავსდება თერმოსტატში 37°C -ზე. 18-24 საათის შემდეგ თითოეულ ფინჯანზე ითვლიან ბაქტერიოფაგის ნეგატიური კოლონიების რაოდენობას. ნეიტრალიზაციის სიჩქარის კონსტანტა გამოითვლება სპეციალური ფორმულით:

$$K = 2.3 \frac{D}{t} \times \log \frac{P_0}{P_t}$$

სადაც P_0 არის ფაგის რაოდენობა დროის საწყის მომენტში; P_t - ფაგის რაოდენობა t დროისთვის; D - ანტიფაგური შრატის განზავება; K - ნეიტრალიზაციის სიჩქარის კონსტანტა(წთ⁻¹) (22,79).

3.10 ბაქტერიოფაგების სტაბილურობის შესწავლა სხვადასხვა გარემო პირობებში
ქლოროფორმის თანაობისას, ტემპერატურული ინაქტივაცია, ულტრაიისფერი სხივების (UV) და pH - ის გავლენა

კონტიგი 9 შედგება 5613 ნუკლეოტიდური წყვილისაგან, სადაც C+G არის 36.82%, ბიოინფორმატიკულმა ანალიზმა აჩვენა რომ შეიცავს 3 ღია წაკითხვის ჩარჩოს და 2 ტერმინატორულ უბანს (ცხრილი 7, ილუსტრაცია 18).

ილუსტრაცია 18. *vB_GEC_EFS_4* კონტიგი 9-ის გენეტიკური რუკა




ფაგი *vB_GEC_EFS_4*-ის გენომის 145230 ნუკლეოტიდური წყვილის თანმიმდევრობის შესწავლამ აჩვენა, რომ ეს ფაგი შეიცავს სულ 170 ღია წაკითხვის ჩარჩოს, რომელთაგან 103 ღწჩ მსგავსია ენტეროკოკის უკვე დახასიათებული ფაგის phiEF24C შესაბამისი გენებისა. ფაგი *vB_GEC_EFS_4*-ს და ფაგი phiEF24C გენომების


შედარებამ აჩვენა, რომ ნუკლეოტიდების დონეზე მათი მსგავსება ფარავს მხოლოდ 20%-ს და ამ 20%-ში მსგავსება გამოიხატება >90% -ით (77).

Artemis Act პროგრამის საშუალებით შესაძლებელი გახდა გვეჩვენა ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის გენომის სავარაუდო აგებულება და კონტიგების სავარაუდო განლაგება (ილუსტრაცია 19, 20).

ილუსტრაცია 19. ფაგი *vB_GEC_EFS_4*-ს და ფაგი phiEF24C შედარებითი მსგავსება ნუკლეოტიდურ დონეზე



ილუსტრაცია 20. ფაგი *vB_GEC_EFS_4*-ის გენომის სავარაუდო აგებულება



2.7 ფაგოთერაპიის ეფექტურობის შესწავლა ცხოველურ მოდელზე

ექსპერიმენტში პირველი და მეორე ჯგუფი წარმოადგენდა საკონტროლო ჯგუფს - ამ ჯგუფში მოხდა 5 მლ *Enterococcus faecium* 14 და *Enterococcus faecalis* 31 ბაქტერიული შტამების ინტრაპერიტონალური შეყვანა (5×10^8 უჯრ/მლ). მეორე დღისთვის ორივე ჯგუფის ცხოველებში უკვე ადვილი შესამჩნევი იყო ანთებით პროცესის მიმდინარეობა, აღინიშნა დაჩირქება, კუჭ-ნაწლავის ფუნქციის დარღვევა, რაც მიუთითებს ინფექციის განვითარებაზე და არა კოლონიზაციაზე. ამ ჯგუფში არ ხდებოდა არც ფაგის და არც მიკრობის შეყვანა და მიმდინარეობდა ზოგადი დაკვირვება.

ფეკალურ მასაში კულტურის ტიტრი 5×10^8 უჯრ/მლ იყო, კლება ხდებოდა საკმაოდ ნელა მაგრამ თანმიმდევრულად (5×10^8 დან 5×10^3 მდე ჩამოვიდა მე-14 დღეს თერაპიულ ჯგუფებში). ფაგი ფეკალურ მასებში გამოჩნდა მხოლოდ შეყვანიდან 3

დღეს როგორც IV, ასევე V თერაპიულ ჯგუფში და ფაგის ტიტრი $5 \cdot 10^3$ დან– 10^5 მდე ავიდა (გრაფიკი 7).

ასევე ინფიცირებიდან მე-7 და მე-14 დღეს ავიღეთ სისხლი, რომლიდანაც დამზადდა შრავი, რომელიც ინაქტივირდა 56°C . მომზადდა სადიაგნოსტიკო შესაბამისი პრეპარატები–ერიტროციტარული დიაგნოსტიკუმი. ცხვრის ერიტროციტების სასენსიბილიზაციოდ გამოყენებულ იქნა 1) *Enterococcus faecium* 14 ბაქტერიული სუსპენზია, 2)ენტეროკოკის საწინააღმდეგო ბაქტერიოფაგი vB_GEC_EFS_4 და 3)ენტეროკოკული ფაგოლიზატი. სადიაგნოსტიკოდ გამოყენებულ იქნა პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქცია, რომელმაც გვაჩვენა რომ კულტურის და ფაგის მცირე დოზების შეყვანის შემთხვევაში (0,3-0,9მლ) მოხდა ანტისხეულების ტიტრის ნიველირება განსხვავებით 3მლ და 5 მლ შეყვანისა. ანტისხეულების ტიტრი საკონტროლო ჯგუფში სადაც არ მიმდინარობდა ფაგოთერაპია იყო 1: 1280, ხოლო სამკურნალო ჯგუფში –1:320.

2.8 vB_GEC_EFS_4 -ის ენდოლიზინების გამოყოფა და ლიზისური აქტივობის დადგენა

ბაქტერიოფაგების მთლიანი გენომის სექვენსის ანალიზმა აჩვენა რომ ფაგი vB_GEC_EFS_4 შეიცავდა ენდოლიზინების მაკოდირებელ გენებს,

Endolysin-associated genes



>Efph4_con6_05 Efph4_con6_05 putative N-acetylmuramoyl-L-alanine amidase 3821:5077;

>Efph4_con6_06 Efph4_con6_06 peptidoglycan-binding LysM 5235:5843

Efph4_con6_07 Efph4_con6_07 N-acetylmuramoyl-L-alanine amidase 5947:6891

spot test”-ის მეშვეობით შემოწმდა ფიზიკო-ქიმიური მეთოდით გამოყოფილი ბაქტერიოფაგის ენდოლიზინების ლიზისური აქტივობა. სკრინინგისთვის გამოყენებულ იქნა 86 *Enterococcus faecalis*, 41 *Enterococcus faecium*, 10 *Staphylococcus aureus*, 10 *Staphylococcus Eppidermidis*, 10 *Streptococcus mitis*, 5 *Streptococcus* group A და 5 *Streptococcus* group B. vB_GEC_EFS_4 დან გამოყოფილი ენდოლიზინი გარდა ექსპერიმენტში გამოყენებული ენტეროკოკების შტამებისა, აღიზიარებდა სტაფილოკოკების 5%-ს და სტრეპტოკოკების 23%-ს.

გრაფიკი 7. *vB_GEC_EFS_4* in vivo აქტივობის შესწავლა



დისკუსია/ინტერპრეტაცია

მულტირეზისტენტული მიკრობებით გამოწვეული ინფექციები თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული მიკროორგანიზმები ფართოდ არიან გავრცელებული, რაც ართულებს ბაქტერიული ინფექციების მკურნალობასა და პროფილაქტიკას. ენტეროკოკები გვხვდებიან ადამიანის კუჭ-ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის შემადგენლობაში. მაგრამ მათი პათოგენური ფორმები ძალიან დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, რადგან ხასიათდებიან ჰემოლიზური აქტივობით, გამძლეობით სხვადასხვა გარემო ფაქტორების მიმართ და გამოირჩევიან მაღალი ანტიბიოტიკორეზისტენტობით. ენტეროკოკებში განვითარდა ამინოგლიკოზიდებისადმი შეძენილი რეზისტენტობა ორი მექანიზმით: რიბოსომული მუტაცია, რაც მხოლოდ სტრუქტომიცინისადმი რეზისტენტობას განაპირობებს და პლაზმიდური ამინოგლიკოზიდგარდამქმნელი ენზიმების გამომუშავება, რაც სხვადასხვა ამინოგლიკოზიდებისადმი სხვადასხვა აქტივობით მოქმედებს. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში პირველად გამოვლინდა ენტეროკოკების რეზისტენტობა გრამდადებით ბაქტერიებზე მოქმედ ყველაზე პოტენციური ანტიბიოტიკის – ვანკომიცინის მიმართ. ნანახია ვანკომიცინისადმი რეზისტენტული *Enterococcus faecium*-ის სამი განსხვავებული შტამი – VanA ფენოტიპი, რეზისტენტული ტეიკოპლანინის მიმართ და VanB, VanC მგრძნობიარე ტეიკოპლანინის მიმართ (6,10,35,82).

ენტეროკოკი ძალიან ხშირად გვევლინება მეორადი ინფექციების გამომწვევად (21,46,52,57,59). უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციების მონაცემების მიხედვით *Enterococcus* spp ითვლება საავადმყოფოსშიდა ინფექციების გამომწვევ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პათოგენად (83). პირობით პათოგენური ენტეროკოკი ნაწლავებში ბინადრობს და ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებისას, ღრმად იჭრება ქსოვილში და განაპირობებს პათოლოგიური პროცესების ჩამოყალიბებას. პათოგენური ენტეროკოკები გამოიმუშავენ ტოქსინებს, რომლებიც ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას და ასრულებს დამამძიმებელ როლს პათოგენეზში (23,31,54).

ამრიგად, ენტეროკოკი წარმოადგენს პოტენციურად ერთ-ერთ საშიშ პათოგენს ანტიბაქტერიული თერაპიის თვალსაზრისით (12,21,57,68).

ყოველივე ზემოთქულიდან გამომდინარე ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მულტირეზისტენტული ენტეროკოკის მიმართ აქტიური, ფართო სპექტრის მქონე ბაქტერიოფაგების იდენტიფიკაცია, დახასიათება და მათი თერაპიული აქტივობის შესწავლა. ბოლო წლებში ანტიბიოტიკორეზისტენტული ენტეროკოკის პროცენტული მაჩვენებლის ზრდამ განაპირობა თერაპიულ პროცესში ბაქტერიოფაგის ჩართვის მიზანშეწონილობა და ჩვენ მიზნად დავისახეთ, გამოგვეყო რამოდენიმე მაღალ აქტიური ფაგი, რომელთა ჩართვა სამკურნალო პოლიკლონარულ ფაგურ პრეპარატში იქნებოდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ თერაპიული მიზნით ბაქტერიოფაგების გამოყენებამდე აუცილებელია ამ ფაგების სრული გენეტიკური ანალიზი, რათა დავრწმუნდეთ მათ ვირულენტურ ბუნებაში. ხშირ შემთხვევაში ლიზოგენური ფაგები თავად არიან რეზისტენტული გენებისა და პლაზმიდის გადამტანები. აღნიშნული ფაქტი შესაძლებელია გახდეს რეზისტენტობის განვითარებისა და გავრცელების მიზეზი და მათი მეშვეობით მოხდეს ანტიბიოტიკორეზისტენტობის განმსაზღვრელი გენის გავრცელება. მოცემულ კვლევაში გამოყენებულ იქნა 572 *Enterococcus* spp. შტამი, გამოყოფილ იქნა მათ მიმართ აქტიური 4 ბაქტერიოფაგი *vB_GEC_EFS_2*, *vB_GEC_EFS_3*, *vB_GEC_EFS_4* და *vB_GEC_EFM_9*, რომელთა პატრონი შტამებს წარმოადგენდნენ *Enterococcus faecium* 12; *Enterococcus faecalis* 31, *Enterococcus faecium* 14 და *Enterococcus faecalis* 106. პატრონი შტამები იდენტიფიცირება განხორციელებულ იქნა VITEK 2 სადიაგნოსტიკო სისტემის საშუალებით, რომელიც აღნიშნული შტამების ბიოქიმიური თვისებების შესწავლას ეფუძნება და მიღებული შედეგების მიხედვით, 12 და 14 შტამი *Enterococcus faecium*-ია, ხოლო 31 და 106 *Enterococcus faecalis*. *Enterococcus* spp - ს სპეციფიკური ბაქტერიოფაგები გამოყოფილი იქნა თბილისის ჩამდინარე წყლებიდან. *vB_GEC_EFS_2*, *vB_GEC_EFS_3*, *vB_GEC_EFS_4* და *vB_GEC_EFM_9* ფაგები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მორფოლოგიურად და ლიზისური აქტივობით, ოთხივე ფაგმა აჩვენა მდგრადობა ტემპერატურული ცვლილების, სხვადასხვა pH-ის და ულტრაიისფერი დასხივების მიმართ, რაც მნიშვნელოვანი მახასიათებლებია, რადგან ამ მონაცემების მიხედვით მოცემული ფაგები რეზისტენტულები აღმოჩნდნენ ექსტრემალური პირობების მიმართ. მათი ტრანსპორტირება შესაძლებელია მაცივრის გარეშე და ასევე

გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც ტემპერატურა ნორმის ფარგლებს აღემატება. მიუხედავად იმისა რომ მოცემულ ფაგებს აქვთ საკმაოდ დიდი ლატენტური პერიოდი(30-75 წთ) ისინი მაღალი გამოსავლიანობით და მოკლე დროში (10-15 წთ) ადსორბციის მაღალი პროცენტით გამოირჩევიან აქამდე დახასიათებული ენტეროკოკული ბაქტერიოფაგებისგან.

Enterococcus spp-ს მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების იმუნოგენური თვისებების შესწავლის მიზნით ბოცვრების იმუნიზაციის შედეგად მიღებულ იქნა ორი ანტიფაგური შრატი: N1-vB_GEC_EfS_4 და N2- vB_GEC_EfS_3. ჯვარედინი ნეიტრალიზაცია არ დადგინდა, რაც იმაზე მეტყველებს რომ ეს ფაგები სეროლოგიურად არ წარმოადგენენ მონათესავე ფაგებს.

vB_GEC_EFS_2 და vB_GEC_EFS_4 ფაგების ბიოინფორმატიკული ანალიზი ჩატარდა იმისათვის, რომ დავრწმუნებულიყავით ამ ფაგების ვირულენტობაში.

ფაგი vB_GEC_EFS_2 გენომის 38508bp სეკვენირებული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ის შეიცავს 65 ღია წაკითხვის ჩარჩოს. უმეტესი მათგანისთვის სტარტ კოდონს (დამწყები კოდონი) წარმოადგენდა ATG (Met), თუმცა ვხვდებით ასევე რამდენიმე გენს, რომელიც იწყება მხოლოდ პროკარიოტებისთვის დამახასიათებელი სტარტ კოდონებით: GTG (V) და TTG (L). თითოეული ღია წაკითხვის ჩარჩოს წინ არსებული RBS უბნები (AGGAGG, GGAGA, GGGGG, GAGA, GGTGTG, AGGT) მიუთითებს მათი ექსპრესიის მიმდინარეობაზე. ინტერგენული უბნები საკმაოდ მცირეა და შეესაბამება პრომოტორულ და ტერმინატორულ უბნებს, რომელთა ნაწილიც სწორედ იდენტიფიცირდა შესაბამისი პროგრამების გამოყენების საშუალებით: სულ 9 პრომოტორული და 6 ტერმინატორული უბანი.

ფაგების წარმატებული ინფექცია საჭიროებს გენების ექსპრესიის რეგულაციას, შედეგად დნმ-ის რეპლიკაციას, ფაგის კაფსიდის ფორმაციას და ახალი ფაგური ნაწილაკების გამონთავისუფლებას ინფიცირებული უჯრედიდან. ბაქტერიოფაგების გენომის უმეტესობაში გენები, რომლებიც აკოდირებენ ფუნქციურად მსგავსს გენებს მეზობლად არიან განლაგებულნი და ხდება მათი ჩართვა გამორთვა ფაგის სასიცოცხლო ციკლის ფაზის მიხედვით. გენების მსგავსი განლაგება დახასიათებულია ლამბდა ფაგშიც, რომელშიც გამოიყოფა 11 ფუნქციური უბანი. ეს ფუნქციური მოდულები ძირითადად მოიცავს ინტეგრაციის, ჰომოლოგიური რეკომბინაციის, ადრეულ გენების, დნმ-ის რეპლიკაციის, გვიანი გენების, თავის

მორფოგენების, კუდის მორფოგენების, ლიზისის და 3 სხვა ფუნქციურად არადატვირთულ უბანს. ფაგი *vB_GEC_EFS_2*-ის შემთხვევაში 65 ORFs გამოიყოფა ძირითადად 2 ერთმანეთისგან საპირისპიროდ მიმართული გენების ჯგუფი, რომლებიც მოიცავენ 10 და 55 გენებს. 10 მემარცხენე-ტრანსკრიპტირებადი გენებიდან გამოირჩევა გენები რომლებიც პასუხისმგებელია ლიზის/ლიზოგენური ციკლის მიმდინარეობაზე, ინტეგრირებაზე, მაშინ როცა 55 გენი რომელიც მემარჯვენე-ტრანსკრიპტირებად rightward-transcribed გენებს მიეკუთვნება ჩართულია ლითიურ ციკლში და მოიცავს შემდეგ ფუნქციურდ მსგავს გენებს: 1. დნმ-ის ამწყობი (packaging) 2 . თავის მორფოგენების 3. კუდის მორფოგენების 4. ლიზისის 5. დნმ-ის რეპლიკაციის. უნდა აღინიშნოს რომ ფაგის გენომის სექვენსი სრული არ არის და არასექვენირებული უბანი სავარაუდოდ მცირე ზომისაა და უნდა მოიცავდეს ძირითადად დნმ-ის რეპლიკაციაში მონაწილე გენებს, რადგან არსებული სექვენირებული მასალიდან იდენტიფიცირდა მხოლოდ დნმ-ის რეპლიკაციის ინიციატორული გენი (*Efph2_con1_1*). გენების მსგავსი განაწილება ახასიათებს ასევე *E.feacalis* სპეციფიკურ ფაგს *φEf11* (69), მსგავსება კარგად ჩანს ილუსტრაცია 9-ზე. გენთა მოდულების ისეთი განლაგება როგორიც არის ფაგ *vB_GEC_EFS_2* -ში (packaging -> თავის მორფოგენები -> კუდის მორფოგენები -> ლიზისი -> რეკომბინაცია -> ლიზის/ლიზოგენიის კონტროლი -> დნმ-ის რეპლიკაცია) ნაჩვენებია მრავალ ლიზოგენურ ფაგის გენომში.

ცალკე განსახილველია რეკომბინაციისა და ადრეული გენების მაკონტროლებელი მოდულები, რომლებიც ლიზოგენური ფაგის გენომში ყველაზე ადრეული ტრანსკრიპტირებადი აქტივობით ხასიათდება (*Efph2_con2_8* *Efph2_con2_13* *Efph2_con2_14*). რეპრესორული გენის ტრანსკრიპტირება განსაზღვრავს ცილა რეპრესორის სინთეზს, რაც ბლოკავს ლითიურ სასიცოცხლო ციკლში მონაწილე გენების ტრანსკრიპციას. ამას თუ თან ახლავს ინტეგრაცია გენის ექსპრესია, რეკომბინაციაში მონაწილე მოდულთან ერთად გამოვლინდება ფაგის გენომის ინტეგრაცია მასპინძელი უჯრედის გენომში (51,69,84).

იმის გამოსაკვლევად თუ არსებობდა უკვე დახასიათებული ფაგი ან პროფაგი, რომლის გენომის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა მსგავსი იქნებოდა ფაგი *vB_GEC_EFS_2* -ის გენომის, გამოვიყენეთ nBLAST და ვნახეთ მსგავსება NCBI-ის მონაცემთა ბაზაში არსებულ დასეკვენირებლ მასალასთან. შედეგებმა აჩვენა, რომ

ნუკლეოტიდური თანმიმდევრობით ფაგი *vB_GEC_EFS_2* -ის გენომი მსგავსია რამდენიმე *E. faecium*-ის რამდენიმე შტამის გენომის გარკვეული უბნების. მსგავსება საკმაოდ მაღალი პროცენტობით გამოვლინდა 90-95% (ილუსტრაცია 8) (43,44,63). შტამების გენომში ფაგი *vB_GEC_EFS_2* -ის გენომის მსგავსი უბნების შემდგომმა კვლევამ ცხადყო, რომ ეს უბნები შეესაბამებოდა ინტეგრირებული პროფაგის უბნებს. აღნიშნული პროფაგები NCBI-ის მონაცემთა ბაზაში დამოუკიდებლად არ ფიგურირებენ და დახასიათებულნი არიან როგორც *E. faecium* Aus0004, *E. faecium* Auc0085, *E. Faecium* OD-ის გენომის ნაწილი (43,44,63). აღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს *vB_GEC_EFS_2* ფაგის ლიზოგენურ ბუნებას.

ფაგის გენომის დახასიათებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიზისის მოდულს, რომელიც მოიცავს გენებს ენდოლიზინს და ჰოლინს და რომელიც ექსპრესირდება ლიზისური ციკლის შემთხვევაში და პასუხისმგებელია მასპინძელი უჯრედის ლიზისზე. ფაგი *vB_GEC_EFS_2* -ის გენომი შეიცავს 1 ენდოლიზინს (Efph2_con1_44) და ჰოლინის 2 გენს (Efph2_con1_42, Efph2_con1_43). თითოეულ გენში ფუნქციურად აქტიური დომენების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ Efph2_con1_42 შეიცავს „Haemolysin XhIA” უბანს (13). ეს უბანი კი როგორც ლიტერატურიდანაც ცნობილი წარმოადგენს უჯრედის ზედაპირზე ასოცირებულ ჰემოლიზინს, რომელიც ბოცვრებსა და ცხენებში ახდენს ერითროციტების ლიზისს. აღნიშნულ XhIA მოდულსა და ჰოლინში არსებულ მოდულს შორის მსგავსება საკმაოდ მაღალია, სადაც E-value=4e-21, რაც გამორიცხავს შეცდომას/დამთხვევას (ცხრილი 2). ამ შედეგებიდან გამომდინარე საინტერესო გახდა გვეჩვენებინა ფაგი *vB_GEC_EFS_2* -ის ჰემოლიზური ბუნება. ჰოლინის გენი ექსპრესირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაგი გადის ლიზისურ სასიცოცხლო ციკლს. ლიზოგენური სასიცოცხლო ციკლის შემთხვევაში აღნიშნული გენი ბლოკირებულია, შესაბამისად ეს ფაგი პატრონ-შტამის გენომში ინტეგრირების შემთხვევაში ვერ გახდება შტამის ჰემოლიზური აქტივობის მიზეზი და პირიქით, ფაგი *vB_GEC_EFS_2* -ის ლიზისური ციკლის შემთხვევაში სინთეზირებული ჰოლინი წარმოადგენს ერითროციტების დაშლის პოტენციურ წყაროს.

ფაგი *vB_GEC_EFS_4* სეკვენირებული გენომის ბიოინფორმატიკულმა ანალიზმა აჩვენა რომ შედგება 145230 ნუკლეოტიდური წყვილისგან. გენომი მიიჩნევა წრიულად, რადგან არ იქნა იდენტიფიცირებული ტერმინალური უბნები. 170 ღია

წაკითხვის ჩარჩო და 12 სატრანსპორტო რნმ იდენტიფიცირდა. ღია წაკითხვის ჩარჩოს სტარტ კოდონი აქაც უმეტეს შემთხვევაში ATG-ია (Met), თუმცა არის ასევე ღწრ, რომელიც იწყება პროკარიოტებისთვის დამახასიათებელი სხვა სტარტ კოდონებით (GTG (V) და TTG (L)). ინტერგენულ უბნებში 35 პრომოტორული და 26 ტერმინატორული უბანი იქნა იდენტიფიცირებული.

170ღწრ მოიცავს გენებს რომლებიც საჭიროა ფაგის ლითიური სასიცოცხლო ციკლისთვის და რომლებიც მოიცავს ფაგის დნმ-ის რეპლიკაციის გენებს, სტრუქტურულ გენებს, მასპინძელი უჯრედის ლიზისის გენებს, ასევე ჰიპოთეტიკური პროტეინების მაკოდირებელ გენებს, რომელთა ფუნქცია ჯერ არ არის შესწავლილი და მიიჩნევა, რომ თითოეული ფაგისთვის მსგავსი ცილები ყველაზე სპეციფიკურია. ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის გენომშიც, ისევე როგორც დამახასიათებელია სხვა ფაგების გენომისთვის ფუნქციურად მსგავსი გენები ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული და ქმნიან მოდულებს: 1. დნმ-ის აწყობის მოდული (*Efph4_con6_01*, *Efph4_con7_09*) 2. დნმ-ის რეპლიკაციის მოდული 3. დიდი სტრუქტურული მოდული, რომელიც მოიცავს თავისა და კუდის კომპონენტების მაკოდირებელ გენებს. რაც შეეხება ლიზისის მოდულს, ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის გენომში ენდოლიზინისა და ჰოლინის მაკოდირებელ გენები ერთმანეთისგან შორს არიან განლაგებულში, მათ შორის ვხვდებით სტრუქტურულ და დნმ-ის რეპლიკაციის მოდულებს. მასპინძელი უჯრედის ლიზისში მონაწილე გენების მსგავსი განლაგება სხვა ფაგებშიც არის ნანახი, მაგალითად ΦEF24C, T4 ფაგებში (77).

ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის გენომის სექვენირებული ნაწილის ბიოინფორმატიკულმა ანალიზმა აჩვენა რომ იდენტიფიცირებული 170ღწრ-დან არც ერთი არ აკოდირებს ლიზოგენიაში მონაწილე გენებს, ტოქსინისა თუ ანტიბიოტიკორეზისტენტობის განმსაზღვრელი ცილების მაკოდირებელ გენებს. აგრეთვე, 170ღწრ-დან 103ღწრ მსგავსებას ავლენს ფაგი ΦEF24C-ის შესაბამის გენებთან. ეს მსგავსი 103ღწრ მოიცავს ფაგის სასიცოცხლო ციკლში მონაწილე ყველა გენს (დნმ-ის რეპლიკაცია, სტრუქტურული გენები, ლიზისში მონაწილე გენები). ფაგი ΦEF24C გენომი სრულად არის შესწავლილი და ნანახია, რომ ის წარმოადგენს ჭეშმარიტად ვირულენტულ ფაგს. ამრიგად, ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის ასეთი მსგავსება ΦEF24C ფაგთან და ასევე ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის გენომის სექვენირებული მასალის ანალიზის შედეგები ცხადყოფს ფაგი *vB_GEC_EFS_4* -ის ვირულენტულ ბუნებას, რაც

საშუალებას გვაძლევს აქტიურად განვიხილოთ მისი ფაგოთერაპიაში გამოყენების საშუალება.

ბიოინფორმატიკული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე *in vivo* ცდისთვის შეირჩა ფაგი *vB_GEC_EFS_4*, რადგანაც ბიოინფორმატიკულმა ანალიზმა ცხადჰყო მისი ვირულენტური ბუნება, კვლევის პერიოდში დახასიათებული ენტეროკოკის მიმართ აქტიური ფაგებიდან მან ყველაზე დიდი ლიზისური აქტივობა აჩვენა, აქვს მოკლე ადსორბციის დრო 10 წუთი, ლატენტური პერიოდი 30 წუთი და მაღალი გამოსავლიანობა 155 ფაგური ნაწილაკი.

in vivo ცდა ჩატარდა ფაგი *vB_GEC_EFS_4*-ით, თავგები დავაინფიცირეთ ამ ფაგის პატრონ შტამით *Enterococcus faecium* 14 და შემთხვევითი შტამით *Enterococcus faecalis* 31, რომელზეც *vB_GEC_EFS_4* ფაგის ადაპტაცია არ ჩატარებულა. ცხოველური მოდელის გამოყენებით ვაჩვენეთ, რომ ფაგის ლეტალური დოზა, რომელიც 200-300 გრ ვირთაგვებში განისაზღვრება ერთჯერადად შეყვანილი 5მლ ოდენობით, არ ახდენს მავნე გავლენას და ფაგს არ გააჩნია ტოქსიკური ეფექტი ვირთაგვებზე.

წარმატებული აღმოჩნდა ფაგის ინტრაპერიტონალურად შეყვანა ფაგოთერაპიული ჯგუფის ვირთაგვებში, ანთებითი პროცესები ინფიცირებიდან 48 საათის განმავლობაში გახდა თვალსაჩინო, თუმცა მეშვიდე დღიდან ცდის ბოლოსთვის მთლიანად გაქრა, რაც ასევე აისახა ბაქტერიული შტამების ტიტრის კლებაში. თერაპიული ეფექტი თითქმის მსგავსი ეფექტურობით წარიმართა *Enterococcus faecalis* 31-ით ინფიცირებულ თავგებში. ფაგი ფეკალურ მასებში გამოჩნდა შეყვანიდან მე-3 დღეს როგორც IV ასევე V თერაპიულ ჯგუფში და ფაგის ტიტრი $5 \cdot 10^3$ დან– 10^5 მდე ავიდა (გრაფიკი 7).

ასევე ინფიცირებიდან მე-7 და მე -14 დღეს ავიღეთ სისხლი, რომლიდანაც დამზადდა შრავი და სადიაგნოსტიკოდ გამოყენებულ იქნა პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქცია, რომელმაც გვაჩვენა რომ კულტურის და ფაგის მცირე დოზების შეყვანის შემთხვევაში (0,3-0,9მლ) მოხდა ანტისხეულების ტიტრის ნიველირება განსხვავებით 3მლ და 5 მლ შეყვანისა. ანტისხეულების ტიტრი საკონტროლო ჯგუფში სადაც არ მიმდინარობდა ფაგოთერაპია 1: 1280, ხოლო სამკურნალო ჯგუფში 1:320.

ფაგი *vB_GEC_EFS_4*-ს *in vivo* გამოცდა კიდევ ერთხელ ნათელყოფს ვირულენტური ფაგის არატოქსიკურობას და მის ეფექტურობას მიკრობული

ინფექციების მკურნალობაში. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ინტრაპერიტონალური ინფიცირებისთვის შემთხვევითად შერჩეული შტამის გამოყენებით ჩვენ შევქმენით ინფექციის რეალური სურათი. ასევე *Enterococcus* spp.-ს მიმართ სპეციფიკური ანტისხეულების რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენით ხაზი გავუსვით მის უვნებლობას და ფაგოთერაპიაში გამოყენების შესაძლებლობებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. გამოყოფილია *Enterococcus* spp-s მიმართ სპეციფიური ოთხი ფაგი, რომელთაგან *vB_GEC_EFS_2*, *vB_GEC_EFS_3* და *vB_GEC_EFS_4* მიეკუთვნება *Siphoviridae*-ს, ხოლო *vB_GEC_EFM_9* *Myoviridae* -ს.
2. კვლევაში გამოყენებული 572 ენტეროკოკის შტამზე მოქმედების შედეგების მიხედვით ფაგი *vB_GEC_EFS_2* აქტივობის სპექტრი განისაზღვრა 4 %-ით , ფაგი *vB_GEC_EFS_3*-ის აქტივობის სპექტრი განისაზღვრა 44,4%-ით. ფაგი *vB_GEC_EFS_4* - 64,4 % ის ლიზისს ახდენს. ხოლო ფაგი *vB_GEC_EFM_9* აქტიურია 55,9%-ის მიმართ.
3. ფაგების სასიცოხლო ციკლის შესწავლისას გამოვლინდა 10 წთ განმავლობაში ადსორბციის მაღალი პროცენტი (94 - 99 %) და მაღალი გამოსავლიანობა (60-300) ლატენტური პერიოდი (30-75 წთ).
4. ფაგების *vB_GEC_EFS_2* და *vB_GEC_EFS_4*-ის გენომის სექვენირების შედეგებმა გვაჩვენა, რომ *vB_GEC_EFS_2* გენომი შეიცავს ინტეგრასასა და ცილა რეპრესორების მაკოდირებელ გენს რაც მიუთითებს მის ზომიერ ბუნებაზე. *vB_GEC_EFS_4* ჭეშმარიტად ვირულენტური ფაგია და მსგავსებას ავლენს ფაგი ΦEF24C-სთან.
5. დადგინდა ფაგებთან შედარებით ენდოლიზინების მაღალი ანტიბაქტერიული აქტივობა.
6. ენტეროკოკით ინტრაპერიტონალურად ინფიცირებულ ვირთაგვებში *vB_GEC_EFS_4* ფაგით მკურნალობით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ფაგოთერაპიის არატოქსიკურობა და მაღალი ეფექტურობა.

ბიბლიოგრაფია

1. Abedon, S. T., S. J. Kuhl, B. G. Blasdel, and E. M. Kutter. 2011. Phage treatment of human infections. *Bacteriophage*. 1:66-85. doi:10.4161/bact.1.2.15845 [doi];2159-7073-1-2-2 [pii].
 2. Ackermann, H. W. 2007. 5500 Phages examined in the electron microscope. *Arch.Virol.* 152:227-243. doi:10.1007/s00705-006-0849-1 [doi].
 3. Ackermann, H. W. 2009. Phage classification and characterization. *Methods Mol.Biol.* 501:127-140. doi:10.1007/978-1-60327-164-6_13 [doi].
 4. Arias, C. A. and B. E. Murray. 2008. Emergence and management of drug-resistant enterococcal infections. *Expert.Rev.Anti.Infect.Ther.* 6:637-655. doi:10.1586/14787210.6.5.637 [doi].
 5. Biswas, B., S. Adhya, P. Washart, B. Paul, A. N. Trostel, B. Powell, R. Carlton, and C. R. Merrill. 2002. Bacteriophage therapy rescues mice bacteremic from a clinical isolate of vancomycin-resistant *Enterococcus faecium*. *Infect.Immun.* 70:204-210.
 6. Bonten, M. J., R. Willems, and R. A. Weinstein. 2001. Vancomycin-resistant enterococci: why are they here, and where do they come from? *Lancet Infect.Dis.* 1:314-325. doi:S1473-3099(01)00145-1 [pii];10.1016/S1473-3099(01)00145-1 [doi].
 7. Burrowes, B., D. R. Harper, J. Anderson, M. McConville, and M. C. Enright. 2011. Bacteriophage therapy: potential uses in the control of antibiotic-resistant pathogens. *Expert.Rev.Anti.Infect.Ther.* 9:775-785. doi:10.1586/eri.11.90 [doi].
 8. Calendar Richard. *The Bacteriophages*. 2006.
- Ref Type: Generic
9. Carlton, R. M. 1999. Phage therapy: past history and future prospects. *Arch.Immunol.Ther.Exp.(Warsz.)* 47:267-274.
 10. Cetinkaya, Y., P. Falk, and C. G. Mayhall. 2000. Vancomycin-resistant enterococci. *Clin.Microbiol.Rev.* 13:686-707.
 11. Chanishvili, N. 2012. Phage therapy--history from Twort and d'Herelle through Soviet experience to current approaches. *Adv.Virus Res.* 83:3-40. doi:B978-0-12-394438-2.00001-3 [pii];10.1016/B978-0-12-394438-2.00001-3 [doi].
 12. Coque, T. M., P. Seetulsingh, K. V. Singh, and B. E. Murray. 1998. Application of molecular techniques to the study of nosocomial infections caused by enterococci. *Methods Mol.Med.* 15:469-493. doi:10.1385/0-89603-498-4:469 [doi].
 13. Cowles, K. N. and H. Goodrich-Blair. 2005. Expression and activity of a *Xenorhabdus nematophila* haemolysin required for full virulence towards *Manduca sexta* insects. *Cell Microbiol.* 7:209-219. doi:CMI448 [pii];10.1111/j.1462-5822.2004.00448.x [doi].
 14. Das, I. and J. Gray. 1998. Enterococcal bacteremia in children: a review of seventy-five episodes in a pediatric hospital. *Pediatr.Infect.Dis.J.* 17:1154-1158.

15. de Kraker, M. E., V. Jarlier, J. C. Monen, O. E. Heuer, N. van de Sande, and H. Grundmann. 2013. The changing epidemiology of bacteraemias in Europe: trends from the European Antimicrobial Resistance Surveillance System. *Clin.Microbiol.Infect.* 19:860-868. doi:10.1111/1469-0691.12028 [doi].
16. De, P. M. and F. Taddei. 2006. Viruses' life history: towards a mechanistic basis of a trade-off between survival and reproduction among phages. *PLoS.Biol.* 4:e193. doi:05-PLBI-RA-1429R3 [pii];10.1371/journal.pbio.0040193 [doi].
17. Dennehy, J. J. and P. E. Turner. 2004. Reduced fecundity is the cost of cheating in RNA virus phi6. *Proc.Biol.Sci.* 271:2275-2282. doi:U3QEX3RBXRQY256N [pii];10.1098/rspb.2004.2833 [doi].
18. Duckworth, D. H. 1976. "Who discovered bacteriophage?". *Bacteriol.Rev.* 40:793-802.
19. Ellis, E. L. and M. Delbruck. 1939. THE GROWTH OF BACTERIOPHAGE. *J.Gen.Physiol* 22:365-384.
20. Fischetti, V. A. 2005. Bacteriophage lytic enzymes: novel anti-infectives. *Trends Microbiol.* 13:491-496. doi:S0966-842X(05)00225-8 [pii];10.1016/j.tim.2005.08.007 [doi].
21. Fisher, K. and C. Phillips. 2009. The ecology, epidemiology and virulence of *Enterococcus*. *Microbiology* 155:1749-1757. doi:mic.0.026385-0 [pii];10.1099/mic.0.026385-0 [doi].
22. Funke, G., D. Monnet, C. deBernardis, G. A. von, and J. Freney. 1998. Evaluation of the VITEK 2 system for rapid identification of medically relevant gram-negative rods. *J.Clin.Microbiol.* 36:1948-1952.
23. Gilmore, M. S., F. Lebreton, and S. W. van. 2013. Genomic transition of enterococci from gut commensals to leading causes of multidrug-resistant hospital infection in the antibiotic era. *Curr.Opin.Microbiol.* 16:10-16. doi:S1369-5274(13)00009-X [pii];10.1016/j.mib.2013.01.006 [doi].
24. Gilmore, M. S., F. Lebreton, and S. W. van. 2013. Genomic transition of enterococci from gut commensals to leading causes of multidrug-resistant hospital infection in the antibiotic era. *Curr.Opin.Microbiol.* 16:10-16. doi:S1369-5274(13)00009-X [pii];10.1016/j.mib.2013.01.006 [doi].
25. Han, F., M. Li, H. Lin, J. Wang, L. Cao, and M. N. Khan. 2014. The novel *Shewanella putrefaciens*-infecting bacteriophage Spp001: genome sequence and lytic enzymes. *J.Ind.Microbiol.Biotechnol.* 41:1017-1026. doi:10.1007/s10295-014-1438-z [doi].
26. Hanlon, G. W. 2007. Bacteriophages: an appraisal of their role in the treatment of bacterial infections. *Int.J.Antimicrob.Agents* 30:118-128. doi:S0924-8579(07)00203-8 [pii];10.1016/j.ijantimicag.2007.04.006 [doi].
27. Harwood, V. J., N. C. Delahoya, R. M. Ulrich, M. F. Kramer, J. E. Whitlock, J. R. Garey, and D. V. Lim. 2004. Molecular confirmation of *Enterococcus faecalis* and *E. faecium* from clinical, faecal and environmental sources. *Lett.Appl.Microbiol.* 38:476-482. doi:10.1111/j.1472-765X.2004.01518.x [doi];LAM1518 [pii].

28. Hatfull, G. F. and R. W. Hendrix. 2011. Bacteriophages and their genomes. *Curr.Opin.Virol.* 1:298-303. doi:10.1016/j.coviro.2011.06.009 [doi].
29. Hegstad, K., T. Mikalsen, T. M. Coque, G. Werner, and A. Sundsfjord. 2010. Mobile genetic elements and their contribution to the emergence of antimicrobial resistant *Enterococcus faecalis* and *Enterococcus faecium*. *Clin.Microbiol.Infect.* 16:541-554. doi:CLM3226 [pii];10.1111/j.1469-0691.2010.03226.x [doi].
30. Huycke, M. M., D. F. Sahm, and M. S. Gilmore. 1998. Multiple-drug resistant enterococci: the nature of the problem and an agenda for the future. *Emerg.Infect.Dis.* 4:239-249. doi:10.3201/eid0402.980211 [doi].
31. Huycke, M. M., C. A. Spiegel, and M. S. Gilmore. 1991. Bacteremia caused by hemolytic, high-level gentamicin-resistant *Enterococcus faecalis*. *Antimicrob.Agents Chemother.* 35:1626-1634.
32. Hyman, P. and S. T. Abedon. 2009. Practical methods for determining phage growth parameters. *Methods Mol.Biol.* 501:175-202. doi:10.1007/978-1-60327-164-6_18 [doi].
33. Jonczyk, E., M. Klak, R. Miedzybrodzki, and A. Gorski. 2011. The influence of external factors on bacteriophages--review. *Folia Microbiol.(Praha)* 56:191-200. doi:10.1007/s12223-011-0039-8 [doi].
34. Karumidze, N., I. Kusradze, S. Rigvava, M. Goderdzishvili, K. Rajakumar, and Z. Alavidze. 2013. Isolation and characterisation of lytic bacteriophages of *Klebsiella pneumoniae* and *Klebsiella oxytoca*. *Curr.Microbiol.* 66:251-258. doi:10.1007/s00284-012-0264-7 [doi].
35. Kayser, F. H. 2003. Safety aspects of enterococci from the medical point of view. *Int.J.Food Microbiol.* 88:255-262. doi:S0168160503001880 [pii].
36. Kropinski, A. M., A. Mazzocco, T. E. Waddell, E. Lingohr, and R. P. Johnson. 2009. Enumeration of bacteriophages by double agar overlay plaque assay. *Methods Mol.Biol.* 501:69-76. doi:10.1007/978-1-60327-164-6_7 [doi].
37. Kropinski, A. M., D. Prangishvili, and R. Lavigne. 2009. Position paper: the creation of a rational scheme for the nomenclature of viruses of Bacteria and Archaea. *Environ.Microbiol.* 11:2775-2777. doi:EMI1970 [pii];10.1111/j.1462-2920.2009.01970.x [doi].
38. Kutateladze, M. and R. Adamia. 2008. Phage therapy experience at the Eliava Institute. *Med.Mal Infect.* 38:426-430. doi:S0399-077X(08)00180-7 [pii];10.1016/j.medmal.2008.06.023 [doi].
39. Kutateladze, M. and R. Adamia. 2010. Bacteriophages as potential new therapeutics to replace or supplement antibiotics. *Trends Biotechnol.* 28:591-595. doi:S0167-7799(10)00137-X [pii];10.1016/j.tibtech.2010.08.001 [doi].
40. Kutter, E. 2009. Phage host range and efficiency of plating. *Methods Mol.Biol.* 501:141-149. doi:10.1007/978-1-60327-164-6_14 [doi].
41. Kutter, E., V. D. De, G. Gvasalia, Z. Alavidze, L. Gogokhia, S. Kuhl, and S. T. Abedon. 2010. Phage therapy in clinical practice: treatment of human infections. *Curr.Pharm.Biotechnol.* 11:69-86.

42. Kutter, E. and Sulakvelidze, A. Bacteriophages: biology and application. 2005.
Ref Type: Generic

43. Lam, M. M., T. Seemann, D. M. Bulach, S. L. Gladman, H. Chen, V. Haring, R. J. Moore, S. Ballard, M. L. Grayson, P. D. Johnson, B. P. Howden, and T. P. Stinear. 2012. Comparative analysis of the first complete *Enterococcus faecium* genome. *J.Bacteriol.* 194:2334-2341. doi:JB.00259-12 [pii];10.1128/JB.00259-12 [doi].
44. Lam, M. M., T. Seemann, N. J. Tobias, H. Chen, V. Haring, R. J. Moore, S. Ballard, L. M. Grayson, P. D. Johnson, B. P. Howden, and T. P. Stinear. 2013. Comparative analysis of the complete genome of an epidemic hospital sequence type 203 clone of vancomycin-resistant *Enterococcus faecium*. *BMC.Genomics* 14:595. doi:1471-2164-14-595 [pii];10.1186/1471-2164-14-595 [doi].
45. Lederberg, J. 1996. Smaller fleas ... ad infinitum: therapeutic bacteriophage redux. *Proc.Natl.Acad.Sci.U.S.A* 93:3167-3168.
46. Lee, Y. D. and J. H. Park. 2012. Complete genome sequence of enterococcal bacteriophage SAP6. *J.Virol.* 86:5402-5403. doi:86/9/5402 [pii];10.1128/JVI.00321-12 [doi].
47. Lin, N. T., P. Y. Chiou, K. C. Chang, L. K. Chen, and M. J. Lai. 2010. Isolation and characterization of phi AB2: a novel bacteriophage of *Acinetobacter baumannii*. *Res.Microbiol.* 161:308-314. doi:S0923-2508(10)00077-X [pii];10.1016/j.resmic.2010.03.007 [doi].
48. Low, D. E., N. Keller, A. Barth, and R. N. Jones. 2001. Clinical prevalence, antimicrobial susceptibility, and geographic resistance patterns of enterococci: results from the SENTRY Antimicrobial Surveillance Program, 1997-1999. *Clin.Infect.Dis.* 32 Suppl 2:S133-S145. doi:CID001237 [pii];10.1086/320185 [doi].
49. Lu, T. K. and M. S. Koeris. 2011. The next generation of bacteriophage therapy. *Curr.Opin.Microbiol.* 14:524-531. doi:S1369-5274(11)00112-3 [pii];10.1016/j.mib.2011.07.028 [doi].
50. Malathum, K., K. V. Singh, G. M. Weinstock, and B. E. Murray. 1998. Repetitive sequence-based PCR versus pulsed-field gel electrophoresis for typing of *Enterococcus faecalis* at the subspecies level. *J.Clin.Microbiol.* 36:211-215.
51. Matos, R. C., N. Lapaque, L. Rigottier-Gois, L. Debarbieux, T. Meylheuc, B. Gonzalez-Zorn, F. Repoila, M. F. Lopes, and P. Serror. 2013. *Enterococcus faecalis* prophage dynamics and contributions to pathogenic traits. *PLoS.Genet.* 9:e1003539. doi:10.1371/journal.pgen.1003539 [doi];PGENETICS-D-12-02777 [pii].
52. McBride, S. M., V. A. Fischetti, D. J. Leblanc, R. C. Moellering, Jr., and M. S. Gilmore. 2007. Genetic diversity among *Enterococcus faecalis*. *PLoS.One.* 2:e582. doi:10.1371/journal.pone.0000582 [doi].
53. McBride, S. M., V. A. Fischetti, D. J. Leblanc, R. C. Moellering, Jr., and M. S. Gilmore. 2007. Genetic diversity among *Enterococcus faecalis*. *PLoS.One.* 2:e582. doi:10.1371/journal.pone.0000582 [doi].
54. McKinnell, J. A., D. F. Kunz, E. Chamot, M. Patel, R. M. Shirley, S. A. Moser, J. W. Baddley, P. G. Pappas, and L. G. Miller. 2012. Association between vancomycin-

- resistant Enterococci bacteremia and ceftriaxone usage. *Infect.Control Hosp.Epidemiol.* 33:718-724. doi:10.1086/666331 [doi].
55. Merrill, C. R., D. Scholl, and S. L. Adhya. 2003. The prospect for bacteriophage therapy in Western medicine. *Nat.Rev.Drug Discov.* 2:489-497. doi:10.1038/nrd1111 [doi];nrd1111 [pii].
 56. Mundy, L. M., D. F. Sahm, and M. Gilmore. 2000. Relationships between enterococcal virulence and antimicrobial resistance. *Clin.Microbiol.Rev.* 13:513-522.
 57. Murray, B. E. 2000. Vancomycin-resistant enterococcal infections. *N.Engl.J.Med.* 342:710-721. doi:10.1056/NEJM200003093421007 [doi].
 58. Nale, J. Y., J. Shan, P. T. Hickenbotham, W. N. Fawley, M. H. Wilcox, and M. R. Clokie. 2012. Diverse temperate bacteriophage carriage in *Clostridium difficile* 027 strains. *PLoS.One.* 7:e37263. doi:10.1371/journal.pone.0037263 [doi];PONE-D-12-00463 [pii].
 59. Ofner-Agostini, M., B. L. Johnston, A. E. Simor, J. Embil, A. Matlow, M. Mulvey, D. Ormiston, and J. Conly. 2008. Vancomycin-resistant enterococci in Canada: results from the Canadian nosocomial infection surveillance program, 1999-2005. *Infect.Control Hosp.Epidemiol.* 29:271-274. doi:10.1086/528812 [doi].
 60. Pagava, K. I., K. K. Gachechiladze, I. A. Korinteli, M. G. Dzuliashvili, Z. I. Alavidze, N. Hoyle, and G. D. Metskhvarishvili. 2011. [What happens when the child gets bacteriophage per os?]. *Georgian.Med.News*101-105.
 61. Pier, G. B., J. M. Saunders, P. Ames, M. S. Edwards, H. Auerbach, J. Goldfarb, D. P. Speert, and S. Hurwitch. 1987. Opsonophagocytic killing antibody to *Pseudomonas aeruginosa* mucoid exopolysaccharide in older noncolonized patients with cystic fibrosis. *N.Engl.J.Med.* 317:793-798. doi:10.1056/NEJM198709243171303 [doi].
 62. Podschun, R. and U. Ullmann. 1998. *Klebsiella* spp. as nosocomial pathogens: epidemiology, taxonomy, typing methods, and pathogenicity factors. *Clin.Microbiol.Rev.* 11:589-603.
 63. Qin, X., J. R. Galloway-Pena, J. Sillanpaa, J. H. Roh, S. R. Nallapareddy, S. Chowdhury, A. Bourgonne, T. Choudhury, D. M. Muzny, C. J. Buhay, Y. Ding, S. Dugan-Rocha, W. Liu, C. Kovar, E. Sodergren, S. Highlander, J. F. Petrosino, K. C. Worley, R. A. Gibbs, G. M. Weinstock, and B. E. Murray. 2012. Complete genome sequence of *Enterococcus faecium* strain TX16 and comparative genomic analysis of *Enterococcus faecium* genomes. *BMC.Microbiol.* 12:135. doi:1471-2180-12-135 [pii];10.1186/1471-2180-12-135 [doi].
 64. Rigvava, S., I. Tchgonia, D. Jgenti, T. Dvalidze, J. Carpino, and M. Goderdzishvili. 2013. Comparative analysis of the biological and physical properties of *Enterococcus faecalis* bacteriophage vB_EfaS_GEC-EfS_3 and *Streptococcus mitis* bacteriophage vB_SmM_GEC-SmitisM_2. *Can.J.Microbiol.* 59:18-21. doi:10.1139/cjm-2012-0385 [doi].
 65. ROGERS, C. G. and W. B. SARLES. 1963. CHARACTERIZATION OF ENTEROCOCCUS BACTERIOPHAGES FROM THE SMALL INTESTINE OF THE RAT. *J.Bacteriol.* 85:1378-1385.

66. Ruiz-Garbajosa, P., M. J. Bonten, D. A. Robinson, J. Top, S. R. Nallapareddy, C. Torres, T. M. Coque, R. Canton, F. Baquero, B. E. Murray, C. R. del, and R. J. Willems. 2006. Multilocus sequence typing scheme for *Enterococcus faecalis* reveals hospital-adapted genetic complexes in a background of high rates of recombination. *J.Clin.Microbiol.* 44:2220-2228. doi:44/6/2220 [pii];10.1128/JCM.02596-05 [doi].
67. Shin, S. C., d. H. Ahn, S. J. Kim, H. Lee, T. J. Oh, J. E. Lee, and H. Park. 2013. Advantages of Single-Molecule Real-Time Sequencing in High-GC Content Genomes. *PLoS.One.* 8:e68824. doi:10.1371/journal.pone.0068824 [doi];PONE-D-13-05291 [pii].
68. Sood, S., M. Malhotra, B. K. Das, and A. Kapil. 2008. Enterococcal infections & antimicrobial resistance. *Indian J.Med.Res.* 128:111-121.
69. Stevens, R. H., M. R. Ektefaie, and D. E. Fouts. 2011. The annotated complete DNA sequence of *Enterococcus faecalis* bacteriophage phiEf11 and its comparison with all available phage and predicted prophage genomes. *FEMS Microbiol.Lett.* 317:9-26. doi:10.1111/j.1574-6968.2010.02203.x [doi].
70. Stuart, C. H., S. A. Schwartz, T. J. Beeson, and C. B. Owatz. 2006. *Enterococcus faecalis*: its role in root canal treatment failure and current concepts in retreatment. *J.Endod.* 32:93-98. doi:S0099-2399(05)00093-2 [pii];10.1016/j.joen.2005.10.049 [doi].
71. Sulakvelidze, A. 2005. Phage therapy: an attractive option for dealing with antibiotic-resistant bacterial infections. *Drug Discov.Today* 10:807-809. doi:S1359-6446(05)03441-0 [pii];10.1016/S1359-6446(05)03441-0 [doi].
72. Sulakvelidze, A., Z. Alavidze, and J. G. Morris, Jr. 2001. Bacteriophage therapy. *Antimicrob.Agents Chemother.* 45:649-659. doi:10.1128/AAC.45.3.649-659.2001 [doi].
73. Thomas, J. A., M. R. Rolando, C. A. Carroll, P. S. Shen, D. M. Belnap, S. T. Weintraub, P. Serwer, and S. C. Hardies. 2008. Characterization of *Pseudomonas chlororaphis* myovirus 201varphi2-1 via genomic sequencing, mass spectrometry, and electron microscopy. *Virology* 376:330-338. doi:S0042-6822(08)00214-6 [pii];10.1016/j.virol.2008.04.004 [doi].
74. Thurber, R. V. 2009. Current insights into phage biodiversity and biogeography. *Curr.Opin.Microbiol.* 12:582-587. doi:S1369-5274(09)00120-9 [pii];10.1016/j.mib.2009.08.008 [doi].
75. Tomayko, J. F. and B. E. Murray. 1995. Analysis of *Enterococcus faecalis* isolates from intercontinental sources by multilocus enzyme electrophoresis and pulsed-field gel electrophoresis. *J.Clin.Microbiol.* 33:2903-2907.
76. Treitman, A. N., P. R. Yarnold, J. Warren, and G. A. Noskin. 2005. Emerging incidence of *Enterococcus faecium* among hospital isolates (1993 to 2002). *J.Clin.Microbiol.* 43:462-463. doi:43/1/462 [pii];10.1128/JCM.43.1.462-463.2005 [doi].
77. Uchiyama, J., M. Rashel, I. Takemura, H. Wakiguchi, and S. Matsuzaki. 2008. In silico and in vivo evaluation of bacteriophage phiEF24C, a candidate for treatment of *Enterococcus faecalis* infections. *Appl.Environ.Microbiol.* 74:4149-4163. doi:AEM.02371-07 [pii];10.1128/AEM.02371-07 [doi].

78. Uchiyama, J., I. Takemura, M. Satoh, S. Kato, T. Ujihara, K. Akechi, S. Matsuzaki, and M. Daibata. 2011. Improved adsorption of an *Enterococcus faecalis* bacteriophage PhiEF24C with a spontaneous point mutation. *PLoS.One.* 6:e26648. doi:10.1371/journal.pone.0026648 [doi];PONE-D-11-11608 [pii].
79. Waddell, T. E., K. Franklin, A. Mazzocco, and R. P. Johnson. 2009. Preparation and characterization of anti-phage serum. *Methods Mol.Biol.* 501:287-292. doi:10.1007/978-1-60327-164-6_24 [doi].
80. Wang, J., V. Michel, M. Hofnung, and A. Charbit. 1998. Cloning of the J gene of bacteriophage lambda, expression and solubilization of the J protein: first in vitro studies on the interactions between J and LamB, its cell surface receptor. *Res.Microbiol.* 149:611-624. doi:S0923-2508(99)80009-6 [pii].
81. Weber-Dabrowska, B., M. Mulczyk, and A. Gorski. 2000. Bacteriophage therapy of bacterial infections: an update of our institute's experience. *Arch.Immunol.Ther.Exp.(Warsz.)* 48:547-551.
82. Willems, R. J., J. Top, B. N. van Den, B. A. van, H. Endtz, D. Mevius, E. Stobberingh, B. A. van Den, and J. D. van Embden. 2000. Host specificity of vancomycin-resistant *Enterococcus faecium*. *J.Infect.Dis.* 182:816-823. doi:JID000160 [pii];10.1086/315752 [doi].
83. Willems, R. J., J. Top, S. M. van, D. A. Robinson, T. M. Coque, F. Baquero, H. Grundmann, and M. J. Bonten. 2005. Global spread of vancomycin-resistant *Enterococcus faecium* from distinct nosocomial genetic complex. *Emerg.Infect.Dis.* 11:821-828. doi:10.3201/eid1106.041204 [doi].
84. Yasmin, A., J. G. Kenny, J. Shankar, A. C. Darby, N. Hall, C. Edwards, and M. J. Horsburgh. 2010. Comparative genomics and transduction potential of *Enterococcus faecalis* temperate bacteriophages. *J.Bacteriol.* 192:1122-1130. doi:JB.01293-09 [pii];10.1128/JB.01293-09 [doi].
85. Zhang, W., Z. Mi, X. Yin, H. Fan, X. An, Z. Zhang, J. Chen, and Y. Tong. 2013. Characterization of *Enterococcus faecalis* phage IME-EF1 and its endolysin. *PLoS.One.* 8:e80435. doi:10.1371/journal.pone.0080435 [doi];PONE-D-13-24776 [pii].